



EGO MAG

MAIA PANJIKIDZE
 მაია ფანჯიკიძე

ფასი/PRICE / 9 / ლარი/GEL

ISSN 2233-3614







FREYWILLE
ფრეივილე



FREYWILLE.COM | 3363

თბილისი • TBILISI
რუსთაველის გამზ. 26 • 26 Rustaveli Avenue
+995 32 299 0957

Five doors. Zero compromise.

The Macan concept.



The New Porsche Macan

Life, intensified

Official fuel economy figures for Porsche Macan S in 1/100km: Urban 11.6-11.3, extra urban 7.6-7.3, Combined 9.0-8.7; Macan S Diesel in 1/100km: Urban 6.9-6.7, extra urban 5.9-5.7, Combined 6.3-6.1; Macan Turbo in 1/100km: Urban 11.8-11.5, extra urban 7.8-7.5, Combined 9.2-8.9.



PORSCHE

C O N T E N T

Person



01

10

პერსონა
Maia Panjikidze
მაია ფანჯიკიძე
Georgian Foreign Minister
In close-up view, through
different prism
საგარეო საქმეთა
მინისტრი
ახლო ხედი,
განსხვავებული რაკურსი

Quotes

*Once made equal to man,
woman becomes
his superior.*

02

22

გამონათქვამები
როგორც კი ქალი კაცს
გაუთანასწორდება, მისი
ზემდგომი ხდება.

Story



03

24

ამბავი
Jerome David
Salinger
ჯერომ დევიდ
სელინგერი

Calendar

04

30

კალენდარი



Digest



05

36

დაიჯესტი
Change the quality of
your life here and now
შეცვალეთ საკუთარი
ცხოვრების ხარისხი
აქ და ახლა

Manager

- Guchi Tavkheldize
- Rusudan Kbilashvili
- Mzia Sharashidze
- Tamuna Kvilitaia

06

42

მენეჯერი
• გუჩი თავხელიძე
• რუსუდან კბილაშვილი
• მზია შარაშიძე
• თამუნა ქვილითაია

Culinary



13

106

კულინარია
Festival -
Restoration Divani
Space for a cultural
event
„ფესტივალი -
რესტორაცია დივანი“
სივრცე კულტურული
ღონისძიებებისათვის

EGO Events

14

112



Gift Ideas



07

50

სასაჩუქრე იდეები

From Natalia Luchaninova ნატალია ლუჩანინოვასგან

Book review

08

52

ნიგნგოს მიმოხილვა



Other

09

58

სხვადასხვა

- Synevo medical laboratory „სინევის“ ლაბორატორია
- How is the Valentine's Day celebrated around the world როგორ აღნიშნავს ვალენტინობას მსოფლიო
- Spotlight



Pretty Woman

10

78

მშვენიერი ქალბატონი

- AVON ვივონი
- Franco Fontana ფრანკო ფონტანა



Ego Style

11

85



Advice for travelers

12

90

რჩევები მოგზაურებს

A LAND WORTH VISITING შრი ლანკა მინა რომელიც უნდა მინახულო



Sri Lanka

EGO MAG

- მთავარი რედაქტორი/Editor in Chief
- ალმასრულებელი რედაქტორი/Executive Editor
- პასუხისმგებელი რედაქტორი/Responsible Editor
- ლიტერატურული რედაქტორი/Literary Editor
- მოდის რედაქტორი/Fashion Editor
- არტ დირექტორი/Art Director
- კრეატიული დირექტორი/Creative Director
- კომერციული დირექტორი/Commercial Director
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი/PR Manager
- ადმინისტრაციული მენეჯერი/Administrative Manager
- გაყიდვების მენეჯერი/Sales Manager
- დიზაინი/Design
- ფოტოგრაფი/Photographer
- ჟურნალისტები/Journalists
- სპეციალური რეპორტიორი/Special Reporter
- კორექტორი/Corrector
- მთარგმნელი/Translator
- დისტრიბუტორი/Distributor
- ბუღალტერი/Accountant
- ანუკი ნაცვლიშვილი/Anuki Natsvlshvili
- ნიკა გომართელი/Nika Gomarteli
- ნინიკო ელიზბარაშვილი/Niniko Elizbarashvili
- ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlshvili
- ანანო დოლაბერიძე/Anano Dolaberidze
- სერგო კულიჯანოვი/Sergo Kulijanov
- საშა პრიშვინი/Sasha Prishvin
- ვაკო გეგიძე/Vako Gegidze
- ლიკა მენაღარიშვილი/Lika Menagarishvili
- გვანცა სალთხუციშვილი/Gvantsa Saltkhutsishvili
- თათული ფაღავა/Tatuli Pagava
- ნინა ამონაშვილი/Nina Amonashvili
- ეკო ცეცხლაძე/Eko Tsetskhladze
- გიორგი შოთაძე/George Shotadze
- სერგო ტიტენკოვი/Sergo Titenkov
- დავით სამსონიძე/David Samsonidze
- ზურა ქართველიშვილი/Zura Kartvelishvili
- ნიკა უხურგუნაშვილი/Nika Ukhurgunashvili
- ბექა მაისურაძე/Beka Maisuradze
- ნინო ლომიძე/Nino Lomidze
- სოფიო დვალიშვილი/Sophio Dvalishvili
- დავით ფარულავა/David Parulava
- ირინა კოჩაკი/Irina Kochak
- ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlshvili
- ელენე გრძელიძე/Elene Grdzelidze
- დავით კუპრაძე/David Kupradze
- მარინა ალექსაური/Marina Aleksauri

ჟურნალი ეგო

2014 | 22

February-თებერვალი



რედაქცია: საქართველო, თბილისი 0102 დ. უზნაძის ქ. 11, საფოსტო ინდექსი 0108, ტელ.: +995 322 946 446, მარკეტინგის სამსახური info@ego.com.ge / გამოცემის თარიღი: 07.02.2014. გამოცემლობა „ფლიტ მედია“ საქართველო, თბილისი, დ. უზნაძის ქ. 11, ელ.ფოსტა flitmail@flit.ge. პერიოდული გამოცემა/ გამოდის 2011 წლის დეკემბრის თვიდან.

Editorial office 11 D. Uznadze str. 0102 Tbilisi, Georgia. Tel.: +995 322 946 446 Fax: +995 322 922 898 Marketing department: info@ego.com.ge

პოლიგრაფიული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ტელეფონის ან ელ.ფოსტის საშუალებით და 5 დღის განმავლობაში მიიღებთ ახალ ეგემპლარს. კატეგორიულად იკრძალება „ეგოში“ გამოყენებული ტექსტური და ფოტო მასალის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება მთავარი რედაქტორის წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოცემლობა პასუხისმგებლობას იხსნის რეკლამაში განთავსებულ შინაარსზე.

Date of edition: 07.02.2014. Publishing house "FLIT MEDIA". In case of any polygraphic defects please address to our office or contact us by e-mail and new copy will be delivered within 5 days. Full or partial usage of texts or photo materials from "EGO" is forbidden without written confirmation of the Editor in Chief. Publishing house is not responsible for the content of advertised material.



იცხოვრე უკეთესად

ბარდება 2015 წლის ნოემბერში



m²-ის ახალი საცხოვრებელი სახლი თბილისში

- ბინები დასრულებული რემონტით 45 კვ.მ.-დან
- მოსახერხებელი მდებარეობა
- 23%-მდე ენერგოეფექტურობა
- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოების სისტემები
- ეფექტური დაგეგმარება
- მოსახერხებელი დაკრედიტებისა და შიდა განვადების პირობები



ვაჟა-ფშაველას გამზ. №71

www.m2.ge ☎ 2 444 111

პროექტი სრულად არის დაფინანსებული IFC-სა და კანადის მთავრობის მიერ.



Anuki Natsvlshvili

ანუკი ნაცვლიშვილი

Inspiration

My inspirations are love, kindness, open and honest relationships, happy people; people who do their job with great love and pleasure, music, Portuguese, Japanese culture, self-development, BM, when I start to paint, getting interesting information, travel, discovery of new countries and cultures...

I'm inspired by so many things that I presume it will never end for me...

Inspiration is like a fuel, it is a driving force everywhere and in everything: It may be found in a weather, scent, sapid food, beautiful sentence.

However we never think of this from this perspective, that is why everything around us often seems gray, uninteresting and gloomy. When you will be able to see the spirit and the energy in any small detail, you will be amazed and black and white images will turn into colorful ones and those will be colors you have never seen before. Only then you will be able to feel what the happiness is. When you feel that, you will be filled with a desire to share it with people around you and for them you will become a shining beam, beam that lightens dark and colorless road.

The darkness will be replaced with the light, the boredom with the happiness, the pain with pleasure, the sickness with health, inactivity with motion. Then the skill of acknowledging own functions arises and you get answers for questions: who am I and who I want to be; what I do and what can I do and so on, endlessly...

Each day is different from the previous and person is always evolving towards the better. And all this is a result of a will and search for an inspiration. Try to find your own sources of inspiration, as many as possible and the life will never lose colors anymore.

შთაგონება

მე შთამაგონებს: სიყვარული, სიკეთე, ღია და ალალი ურთიერთობები, ბედნიერი ადამიანები; ადამიანები, რომლებიც სიყვარულით და დიდი სიამოვნებით აკეთებენ საკუთარ საქმეს, მუსიკა, პორტუგალიური, იაპონური კულტურა, თვითგანვითარება, BM, როდესაც ხატვას ვინყებ, საინტერესო ინფორმაციის მიღება, მოგზაურობა, ახალი ქვეყნების და ახალი კულტურის აღმოჩენა...

ალბათ, ეს ჩამონათვალი არასდროს შეწყდება, იმდენი რამ შთამაგონებს...

შთაგონება სანვაგით არის, მამოძრავებელი ძალაა, ყველგან და ყველაფერშია; შეიძლება იყოს ამინდში, სურნელში, გემრიელ საკვებში, ლამაზ წინადადებაში.

თუმცა ჩვენ ამაზე არასდროს ვფიქრობთ და ამიტომ არის ხშირად ჩვენ გარშემო ყველაფერი რუხი ფერის, უინტერესო და მოსაწყენი. აი, როცა შეძლებთ, დაინახოთ ნებისმიერ პატარა დეტალში ამ დეტალის სული და ენერჯია გაცივებული დარჩებით, შავ-თეთრი კადრებიდან ყველაფერი ფერად კადრებად იქცევა თანაც ისეთ ფერებად, რომლებიც არასდროს გინახავთ და მაშინ შეიგრძნობთ, რა არის ბედნიერება, როცა ამას იგრძნობთ, მოგინდებათ, რომ თქვენი მდგომარეობა გარშემოყოფებსაც გაუნანილოთ, თავად კი მათთვის მანათობელი სხივით გახდებით, სხივით, რომელიც ბნელ და უფერულ გზას ანათებს.

სიბნელეს შეცვლის სინათლე, მოწყენილობას სიხარული, ტკივილს სიამოვნება, ავადმყოფობას ჯანმრთელობა, უმოქმედობას მოძრაობა. შემდეგ ნდება საკუთარი ფუნქციების გაცნობიერების უნარი და პასუხები კითხვებზე: ვინ ვარ და ვინ მინდა, რომ ვიყო; რას ვაკეთებ და რისი გაკეთება შემიძლია და ასე უსასრულოდ.

ყოველი ახალი დღე განსხვავებულია წინა დღისაგან და ადამიანიც ყოველდღე იცვლება უკეთესობისაკენ. ეს ყველაფერი კი მხოლოდ სურვილის და შთაგონების ძიების შედეგია. ეცადეთ, აღმოაჩინოთ თქვენი შთაგონების წყარო, რაც შეიძლება მეტი და ცხოვრებაც არასდროს დაკარგავს ფერს.



SOLO მომსახურება

კომფორტული
მომგებიანი
გამორჩეული



← →
Maia Panjikidze

მაია ფანჯიკიძე
← →

GEORGIAN

Foreign Minister

in close-up view,
through different prism

საგარეო საქმეთა მინისტრი

We all accept the idea of gender equality. There are, however, many fields in which women are infinitely superior to men – especially when it comes to acting impressively, effectively and even distinctively. This is just something that comes naturally to them.

Do you question the truth of this idea? Then read the article below, and get to know a person who will appear before you in quite a different light!

ზენდერული თანასწორობა – თანასწორობად, მაგრამ ამის მიღმა უამრავი ისეთი რამ არის, რასაც ქალი უფრო მოხდენილად, ორიგინალურად, განსხვავებულად და ეფექტურად აკეთებს და ეს ბევრი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შედეგად, თავისთავად, ბუნებრივად ხდება.

ამგვარი განცხადება საკამათოდ გეჩვენებათ? მაშინ ყურადღებით გაეცანით სტატიას და ადამიანს, რომელიც სულ სხვა რაკურსით წარდგება თქვენ წინაშე.

ახლო ხედი,
განსხვავებული რაკურსი ...

Ms. Maia Panjikidze became Georgia's Minister of Foreign Affairs on the 25th of October 2012. Before entering politics, she had pursued a diplomatic career as her country's ambassador to Germany and the Netherlands.

Georgia's Ministry of Foreign Affairs is located in a large, gloomy brick building. What are the responsibilities of the people employed in this building? The Ministry's official website states that its mission, among other tasks, consists in promoting Georgia's national interests, protecting the rights of its citizens abroad, and contributing to the development of a better world community. But these are official aspects: far more important, as we mentioned above, is an individual approach and a new vantage point from which to view things.

მაია ფანჯიკიძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად 2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ორბიტაზე გამოჩენამდე ის დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა ორ ქვეყანაში: გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ნიდერლანდების სამეფოში იყო საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

საგარეო საქმეთა სამინისტრო - აგურის ძველი, პირქუში შენობა. რას საქმიანობენ ადამიანები ამ დაწესებულებაში? ოფიციალურ გვერდზე გამცნობენ, რომ სამინისტროს, უამრავ სხვა მისიასთან ერთად, საქართველოს ეროვნული ინტერესების გატარება, ქვეყნის საზღვრებს გარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა და უკეთესი მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა ევალება. ეს - ოფიციალურად. ჩვენ კი განსხვავებული რაკურსი და ორიგინალური მიდგომები ვახსენეთ.

📌 Diplomacy: the Art of representing the country

📌 The Ministry of Foreign Affairs, as an institution, is responsible for managing and improving the country's image, and, if used effectively, tools for direct communication with the wider world enable the Ministry to play an interesting and important role in promoting the country and increasing awareness of it abroad. Regrettably, however, very few people had reflected upon the need to increase the Ministry's role in this area. In my capacity as Foreign Minister, and drawing upon the experience I have gained during my years in different diplomatic positions, I have introduced a number of new ideas and novelties. The Ministry has, for example, launched a number of projects which have been both relevant and pleasant – relevant in terms of efforts to uphold Georgia's image, and pleasant for the diplomatic corps accredited in Georgia. These projects include many details which may seem unimportant or superfluous to some, but it is precisely these details and symbols which form the basis of the country's image abroad and make it instantly recognizable and identifiable.

📌 Symbols of Georgia

📌 What does the thought of the Netherlands bring to mind? – Tulips, bicycles, beautiful canals, wind-mills, Van Gogh... This series of symbols was, in part, created thanks to the competent efforts of the Dutch authorities. We have often heard foreigners associating Georgia with Stalin, the August 2008 war

📌 ქვეყნის წარდგენის დიპლომატია

📌 საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყნის სახეა. საერთაშორისო სამყაროსთან პირდაპირი კომუნიკაციის ის შესაძლებლობები, რაც ამ უწყებას გააჩნია, თუ მას სწორად გამოიყენებ და ორიგინალურ მიდგომას გამოიჩენ, საშუალებას გაძლევს, საინტერესო და მნიშვნელოვანი როლი ითამაშო ქვეყნის წარმოჩენის, მისი ცნობადობის ამაღლების საქმეში. სამწუხაროდ საქართველოში ამ მიმართულებით საგარეო საქმეთა სამინისტროს როლზე ცოტას თუ უფიქრია. მე კი, რადგან მინისტრის რანგში ეს შესაძლებლობა მომეცა, ვეცადე, იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რაც საზღვარგარეთ დიპლომატიურ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში მიმიღია, გარკვეული სიახლეები დამეჩვენა. ვფიქრობ, ისეთ პროექტებს ჩავუყარეთ საფუძველი, რომლებიც ერთდროულად სასარგებლოც იქნებოდა და სასიამოვნოც; სასიამოვნო - ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე დიპლომატიური კორპუსისთვის და სასარგებლო, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის იმიჯისთვის. ეს ბევრ სხვადასხვა დეტალს მოიცავს, რომლებიც შესაძლოა, უმნიშვნელოდ მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ, სინამდვილეში, ქვეყნის იმიჯის ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია. სწორედ გარკვეული სიმბოლოების, ნიშნების მიხედვით იოლდება სახელმწიფოს იდენტიფიცირება.

📌 ასოციაციები - საქართველოზე

📌 რა ასოციაციები ჩნდება, როდესაც გვსმით - ნიდერლანდები? სავარაუდოდ, ეს არის: ტიტები, ველოსიპედი, ულამაზესი არხები, ქარის წისქვილები, ვან გოგი... ამ ასოციაციური ჯაჭვის შექმნაზე ქვეყანა ზრუნავს და უამრავი უწყება მუშაობს. ხშირად გავგიგონია, რომ საქართველოს ხსენებაზე უცხოელებს სტალინი, აგვისტოს ომი, შევარდნაძე ან ამერიკის ერთ-



” We have often heard foreigners associating Georgia with Stalin, the August 2008 war with Russia, Eduard Shevardnadze, or the U.S. state... “

with Russia, Eduard Shevardnadze, or the U.S. state... Although it is indeed vital that the August War and Russia's subsequent occupation of Georgian territory remain imprinted on our minds until the consequences of these acts are eliminated, it is, however, also politically important to get people to associate Georgia with other more positive symbols – such as wine, tea, polyphonic singing, folk dances, ancient gold, etc. Much thought and energy needs to go into making this a reality, and the Foreign Ministry has already made a great contribution to these efforts. Although changes of such a fundamental nature are hardly achievable within a single year, much can already be done, and the Ministry has been working hard to build and improve the country's image, introduce new practices, and switch to a more open and creative style of relations with the diplomatic corps.

❏ Ambassadorial meetings for women

❑ The spouses of our ambassadors and diplomats abroad can do a great deal in terms of promoting Georgia's image in their host country. Every year, the Ministry organizes a meeting of Georgia's ambassadors in Tbilisi, and on the margins of this meeting in 2013 an informative session was held to engage ambassadors' spouses in an informal conversation on a variety of topics that will help them to pursue and enrich their role as diplomatic spouses in their countries of residence. Except for politics and

ერთი შტატი ახსენდებათ. აგვისტოს ომი და ოკუპაცია რომ ყველას უნდა ახსოვდეს სანამ ეს პრობლემა არ გადაიჭრება, პოლიტიკურად აუცილებელია, მაგრამ საქართველოს ხსენებაზე სხვა ასოციაციაც რომ ჩნდებოდეს, ამას ფიქრი, დაგეგმვა და ბევრი მუშაობა სჭირდება. ასეთ თემებად მიმართა: ღვინო, ჩაი, ქართული პოლიფონია, ხალხური ცეკვები, უძველესი ოქრო და სხვა. საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი კუთხით ცდილობს ამ მიმართულებით მუშაობას. ერთი წელი დიდი დრო არ არის მასშტაბური ცვლილებების განსახორციელებლად, მაგრამ წარმატებულ მცდელობებზე ნამდვილად შეგვიძლია ვისაუბროთ; ეს ეხება როგორც საზღვარგარეთ ქვეყნის იმიჯზე ზრუნვას, ისე სამინისტროს საქმიანობაში ახალი ტრადიციებისთვის საფუძვლის ჩაყრასა და დიპლომატიურ კორპუსთან ურთიერთობის უფრო გახსნილი და კრეატიული სტილის შემოღებას.

❏ ამბასადორიალი ქალბატონებისთვის

❑ ელჩების და საერთოდ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი დიპლომატების მეუღლეებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს იმიჯის წარმოსაჩენად. დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებისთვის ტრადიციულად თბილისში იმართება ყოველწლიური შეხვედრა - ამბასადორიალი. წელს პირველად გადაწყვიტეთ, ამბასადორიალში ელჩების მეუღლეებიც ჩაგვეერთო. არის უამრავი რამ, რაც ქალს ბუნებრივად უკავშირდება, სწორედ ამიტომ გავმართეთ საინფორმაციო შეხვედრა ელჩების მეუღლეებისთვის და სასიამოვნო გარემოში ვესაუბრეთ ყველაფერზე, რაც მათ დაეხმარება, უკეთ განსაზღვრონ საკუთარი როლი და საქმიანობა იმ ქვეყნებში, სადაც მათი მეუღლეები მოღვაწეობენ. ცხადია, აქ საუბარი არ არის პოლიტიკური პროცესების წარმართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. არსებობს უამრავი სფერო, სადაც ამ ქალბატონების ხელშეწყობა, მათი გააქტიურება და ჩართულობა მნიშვნელოვანი იქნება, მაგალითად: კულტურული ღონისძიებები, საქველმოქმედო კონცერტები, საქართველოს ისტორიის, ტრადიციების, ხელოვნების წარმოჩენა, ქვეყანაში არსებულ მიღწევებთან გაცნობა, საკვირაო სკოლების პატრონაჟი. შეხვედრაზე ქალბატონებს შევთავაზებთ სხვადასხვა იდეა, რომელიც მათ არსებული რესურსით შეეძლოთ განახორციელებინათ. შეხვედრის შემდეგ გაიხსნა ფეისბუქის გვერდი, სადაც დიპლომატების მეუღლეები თავიანთ შთაბეჭდილებებს და შეხვედრის შედეგად მიღებულ თამოცდობებს გვიზიარებენ. გვერდი სისტემატურად ახლდება და ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართული მთელ რიგ კულტურულ აქტივობებში. ხშირად სხვადასხვა სახის ღონისძიების ორგანიზატორადაც გვევლინებიან, იქნება ეს „ქართული სუფრის“ წარმოჩენა, გამოფენები თუ სხვა. ვფიქრობთ, ჩვენი მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდა. მომავალ წელს აუცილებლად დავგეგმავთ ასეთივე შეკრებას და შევეცდებით, უფრო ფართომასშტაბიანი გავხადოთ ამბასადორიალი, იქნებ მასში ქალი ელჩების მეუღლეებიც ჩაერთონ.

❏ საახალწლო და საშობაო საჩუქრები

❑ წელიწადის ეს დღეები ყველასთვის დიდი ზეიმია. საჩუქრები და მისალოცი ბარათები ამ დღესასწაულების

“ Except for politics and decision-making, there are many areas in which their active participation should be encouraged “

decision-making, there are many areas in which their active participation should be encouraged: – cultural events, for example, or charity concerts; the promotion of Georgian history, art, and traditions; enhanced awareness of the democratic progress the country has made; supporting Sunday schools; etc. The Ministry outlined a number of ideas which they could put into practice using the resources available to them, and a special page was also set up on Facebook at the end of the session which will enable diplomatic spouses to share their opinions and impressions with each other. This Facebook page is regularly updated with information on their active engagement in the cultural events they often organize, such as exhibitions, Georgian

food events, etc.. I think our efforts have already been very successful, and another one of these sessions will be held alongside the next ambassadorial meeting in 2014. We are also considering the idea of extending the range of these ambassadorial meetings to directly include the ambassadors' spouses themselves.

❏ New Year and Christmas

❏ New Year and Christmas have long been associated with exchanging presents and cards – two activities which take on even greater importance in diplomacy. When presented to our foreign guests, keepsakes and cards also promote our country's overall image, and in 2013 we sent a selection of Christmas presents and cards abroad on behalf of our Ministry and embassies. Although I believe it is desirable (and indeed vital, to a certain extent) to be consistent when representing our country abroad, this time we broke with the tradition of sending the traditional Georgian wine and “churchkheldas” (strings of walnuts encased in grape juice) and offered something completely different to our partners and friends abroad. Our choice fell upon two gifts: – The first was a small work of art created with excellent skill and talent by Gia Japaridze, a Georgian sculptor, representing the tree of life, striving upwards towards a new beginning; we thought this symbolic work of art perfectly suited to the festive mood, and capable of being interpreted in different positive ways. The other gift,

შემადგენელი ნაწილია. განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მათ დიპლომატიაში. რადგან ჩვენ სამახსოვრო საჩუქრებსა და ბარათებს უცხოელ მეგობრებს ვუგზავნი. ამგვარად ეს აქტივობა ქვეყნის საიმიჯო ფუნქციასაც იძენს. ამიტომ წელს გადავწყვიტეთ, ერთი სახის საჩუქრები და მისალოცი ბარათები შეგვერჩია, რომლებიც საზღვარგარეთ, როგორც სამინისტროს, ისე საელჩოების სახელით დავაგზავნეთ. ვფიქრობ, სასურველიცაა და გარკვეულწილად სავალდებულოც, რომ საქართველო ერთიანი სახით წარდგეს სხვა ქვეყნების წინაშე. მოვერიდეთ უკვე ტრადიციად ქცეულ ღვინის ბოთლს, ჩურჩხელას... ამჯერად აბსოლუტურად განსხვავებული რამ შევთავაზებთ ჩვენს პარტნიორებს და მეგობრებს. ორი სახის საჩუქარზე შევაჩერეთ არჩევანი. მოქანდაკე გია ჯაფარიძემ მცირე ზომის არაჩვეულებრივი სკულპტურა დაგვიმზადა - ამ ნამუშევარს აღიქვამ როგორც სიცოცხლის ხეს, ზევით სწრაფვას, სიახლის დაბადებას. ამ სიმბოლურ სუვენირს საახალწლო განწყობა მოაქვს და თან მრავალნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მეორე საჩუქარი საკმაოდ საინტერესო კომპონენტებისგან შედგება, გაურანდავი ხის ყუთი - ჩვეულებრივ, სპილოსძვლისფერ ქაღალდში გახვეული და კანაფის ძაფით შეფუთული. ყუთში - ორი ულამაზესი ქილა - ქართული თაფლი და თაფლი ჩირეულით, მათ შორის კი პატარა გოდორი დევს - ქართული ჩაით. შევარჩიეთ საჩუქარი, რომელიც სხვა სახით წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას. თაფლი, როგორც უძველესი კულტურა, ჩაი, როგორც ასევე ქართული წარმოებისთვის დამახასიათებელი პროდუქტი. იგი მოსახერხებელი აღმოჩნდა იმ ქვეყნებში გასაგზავნად, სადაც არ არის ალკოჰოლის ტრადიცია. ასევე, წელს, ქართველ მხატვრებს, ზურაბ (პიკო) ნიჟარაძეს და გია მირზაშვილს მოვხატივებთ სამინისტროს საშობაო ბარათები. რა თქმა





wrapped in ivory-coloured paper and tied with string, actually consisted of several interesting presents: a rustic box, containing two beautiful jars of honey and dried summer fruit, with a small basket of Georgian tea between them. Giving people traditional products is the best way of conveying the essence of one's country. Besides, tea and honey make for wonderful gifts in countries which do not consume alcohol at all. We also arranged for Christmas cards to be painted by the Georgian artists Zurab (Piko) Nijaradze and Gia Mirzashvili; the cards they created for us, as we expected, turned out to be absolutely , and they too enabled us to highlight and bring to the fore Georgian art and culture.

❏ Cultural tours

🔴 The countries to which I have had the pleasure of being posted as a diplomat over the years have long maintained a tradition of offering the members of their foreign diplomatic corps a sight-seeing tour once or twice a year, and I have often heard my foreign colleagues say how eagerly they awaited these trips. Tours such as these are very interesting and informative for foreign diplomats: besides giving them an excellent opportunity to familiarize themselves with the culture and investment potential of their coun-

უნდა, ულამაზესი გამოვიდა და ცხადია, ესეც თავისებური გზაა ქართული კულტურის, ხელოვნების წარმოსაჩენად.

❏ კულტურული ტურები

🔴 ქვეყნებში, სადაც მიმუშავია, წელიწადში ორჯერ დიპლომატიური კორპუსისთვის იმართებოდა რამდენიმე დღიანი გასვლითი ღონისძიება. ბევრი ჩემი უცხოელი კოლეგისგან მსმენია, რომ წლის განმავლობაში ამ დღეებს ისე ელოდებოდნენ, როგორც რაღაც განსაკუთრებულ დღესასწაულს. ძირითადად, ეს იყო გაცნობითი ტურები, სადაც დიპლომატებს ქვეყნის, მისი საინვესტიციო, ინფრასტრუქტურული პოტენციალისა და კულტურის გაცნობის საშუალება ეძლეოდათ. გარდა ამისა, დიპლომატებს, რომლებსაც მანამდე ერთმანეთთან და მასპინძელი ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებთან მხოლოდ კაბინეტური ურთიერთობა ჰქონდათ, ასეთი ღონისძიებების დროს უფრო გახსნილად და უშუალოდ შეეძლოთ, კონტაქტების დამყარება. ეს კი არანაკლებ მნიშვნელოვანი დეტალია დიპლომატიურ საქმიანობაში.

გადავწყვიტე, მსგავსი ინიციატივა საქართველოშიც განმეხორციელებინა. პირველი ასეთი ექსკურსია 2013 წლის შემოდგომაზე კახეთში მოვანყვეთ. რეგიონის არჩევანი იმანაც განაპირობა, რომ იმ პერიოდში თელავის მუსიკალური ფესტივალი იმართებოდა, დახურვის კონცერტზე კი ელისო ვირსალაძე უნდა წარმდგარიყო მსმენელის წინაშე. ამაზე

try of residence, these tours also give them an even more valuable chance to go beyond the usual limits of official relations and create more immediate and closer, more personal contacts with high-ranking officials of their host country. This is one of the most important aspects of diplomacy, and I decided to introduce the same practice in Georgia. In the autumn of 2013, we took a group of foreign diplomats on a first excursion to Georgia's eastern region of Kakheti—a destination mostly chosen because the trip would coincide with the Telavi International Music Festival, which in 2013 was mainly dedicated to the renowned Georgian pianist, Ms Eliso Virsaladze. I could imagine nothing better than this. We first, however, took our guests to the Schuchmann Winery, whose garden brought together all the attributes of autumn and the grape harvest. Our foreign guests were taken to see the modern wine factory's "ethnic corner", where they were invited to take part in the making of traditional Georgian "churchkheldas" by dipping strings of walnuts in thickened grape juice, cooking "khinkali" (meat dumplings), baking bread in a traditional Georgian bread oven, distilling "chacha" (Georgian alcoholic drink), and playing backgammon. The tour proved to be a beautiful, pleasant and rewarding experience, and as it also coincided with eastern Georgia's grape harvest, the Georgian Minister of Agriculture, Mr Shalva Pipia, gave our guests a brief presentation on the results of the 2013 harvest in Kakheti. Following the Telavi International Music Festival, and now back in Tbilisi, we received letters of thanks from many ambassadors and diplomats. The next tour, this time to a different region of Georgia, will be organized in the spring of 2014. It will hopefully also include many non-resident ambassadors to Georgia, and will give all our guests the opportunity to gain valuable insights into Georgia and discover – or re-discover – what we believe makes our country so special and so beautiful.

More about Georgia

Foreign diplomats are always eager to learn more about the countries they are to be posted to. With this in mind, we put into action two targeted programmes: – The first one will help foreign diplomats gain a deeper and richer insight into Georgia, and the other one is a Georgian language course. The Ministry operates a training centre, which until recently was dedicated to the professional development of our employees. From now on, however, and like similar institutions in many developed countries, it will also cater to foreign diplomats. Georgia's centre now offers a 4-month training course for foreign diplomats, whose purpose is to acquaint them with Georgia's history, culture, art, religion and traditions, and provide them with the information they need regarding ongoing political process, the state of the country's economy, and other important aspects. The centre's Georgian

უკეთეს ვერაფერს წარმოვიდგენდი.

უცხოელ დიპლომატებს შუხმანის ქარხანაში ვუმასპინძლეთ. გადავწყვიტეთ, რომ ქარხნის ეზოში, ყველაფერი, რაც საქართველოში შემოდგომას და რთველს უკავშირდება, ერთ სივრცეში მოგვექცია. ასე რომ, სტუმრებმა, გარდა იმისა, რომ ქარხანა დაათვალიერეს, ეზოში მონყობილ ეთნიკურ კუთხეში ყველა ტრადიციულ საქმიანობაში მიიღეს მონაწილეობა... იქნებოდა ეს ჩურჩხელების ამოვლება, პურის ცხობა, ჭაჭის გამოხდა, ხინკლის მოხვევა თუ ნარდის თამაში. ეს იყო ულამაზესი, ძალიან სასიამოვნო და დასამახსოვრებელი ტური. ღონისძიება რთველის პერიოდს დაემთხვა და დიპლომატებს 2013 წლის რთველის შედეგებიც გაეცანით, სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფია მათ მცირე პრეზენტაციას წარუდგინა. დედაქალაქში დაბრუნების შემდეგ, ბევრი ელჩისგან მადლობის წერილი მივიღეთ. მეორე ტურს გაზაფხულზე მოვანწყობთ და ამ ექსკურსიაში არარეზიდენტ ელჩებსაც ჩავრთავთ. ამჯერად სტუმრებს ახალ, განსხვავებულ მარშრუტს შევთავაზებთ, ქვეყნის სხვა კუთხეს დავათვალიერებინებთ, შევეცდებით, სადაც ვიმოგზაურობთ, იმ რეგიონის შესახებ მეტი ინფორმაცია მივანოდოთ და ასე ვთქვათ თავიდან, საინტერესო კუთხით „აღმოვაჩინოთ“ ჩვენი ქვეყანა.

მეტი საქართველოს შესახებ

ქვეყანაში პირველად ჩამოსული უცხოელი დიპლომატები ყოველთვის გამოთქვამენ სურვილს, გაიგონ მეტი იმ ქვეყნის შესახებ, სადაც გარკვეული პერიოდით მოუწევთ ცხოვრება და მუშაობა. ამის გათვალისწინებით, ჩვენ მათთვის ორი მიზნობრივი პროგრამა ავამოქმედეთ. პირველი უცხოელ დიპლომატებს საქართველოს უკეთ გაცნობაში დაეხმარება, მეორე კი ქართული ენის შემსწავლელი კურსია. სამინისტროში ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი, რომელიც აქამდე, ძირითადად, ჩვენი თანამშრომლების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურებოდა. გადავწყვიტეთ, რომ სამინისტროს სასწავლო ცენტრი, როგორც ეს ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია, უცხოელი დიპლომატებისთვისაც გაგვეხადა ხელმისაწვდომი. დღეს ცენტრში მიმდინარეობს 4-თვიანი კურსი, რომელიც უცხოელ დიპლომატს საქართველოს ისტორიას, კულტურას, ხელოვნებას, რელიგიას, ტრადიციებს აცნობს. აწვდის საჭირო ინფორმაციას მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, ეკონომიკისა თუ სხვა მნიშვნელოვანი სფეროების შესახებ. ასევე მოქმედებს ქართული ენის შემსწავლელი კურსი, რაც უცხოელ დიპლომატებში ნამდვილად დიდი პოპულარობით სარგებლობს. გარდა იმისა, რომ კოლეგები ქართულ ენას ეუფლებიან, კურსი ხელს უწყობს ჩვენი ენის პოპულარიზაციას, უძველესი დამწერლობისა და მისი უნიკალურობის წარმოჩენას. ამჟამად ორი ჯგუფია გახსნილი, თუმცა უკვე ბევრი მსურველი გამოჩნდა და მესამე ჯგუფიც მალე დაკომპლექტდება.

უნივერსალური, საერთაშორისო ენა - მუსიკა

არასდროს მომწონდა მიღებების დროს მუსიკოსები მთელი ცერემონიალის განმავლობაში თავისთვის, სადღაც, კუთხეში რომ უკრავდნენ და, უმეტესწილად, არავის ესმოდა მუსიკა. ამიტომ სრულიად შევცვალეთ ეს სტილი. ამერიიდან ჩვენთან მიღებებზე მუსიკალური გაფორმება უბრალო დამატება კი არ არის, არამედ პროგრამის ძირითადი შემადგენელი ნაწილია,

language course is very popular among foreign diplomats, and in addition to giving them an opportunity to learn Georgian, it is aimed at promoting our language and the uniqueness of Georgia's ancient alphabet. Two Georgian language groups have already been created, and a third is to be set up to meet the increasing number of applications.

🎵 Music: a universal international language

🔴 I have always disapproved of the way in which background music is usually played during receptions, with musicians playing in a corner and their performance dying away into nowhere. We have completely changed the way music is played, bringing music out of the background to become an integral part of events rather than simply being an additional feature. Our music and art are a “calling-card” for the country, and need to be upheld and promoted. With this in mind, we invited the musicians of the Evgeni Mikeladze Symphony Orchestra to give a concert at the Ministry; Nika Rachveli is a personal friend of mine, and accepted our invitation with great pleasure. Members of Georgia's foreign diplomatic corps were invited to this concert, and we all spent a wonderful evening together. The Ministry also served as a venue for a concert given by the Sul Khan Tsintsadze String Quartet, and young musicians have also been invited to perform at the Ministry.

🎁 Leaving-presents as a mark of respect

🔴 An ambassadorial posting is a crucial stage of the career of any diplomat. When an ambassador is due to complete his or her term of office in a country, he or she receives a warm farewell expressing gratitude for his or her contribution to the development of relations between the two countries. We have decided that every ambassador, upon completing his or her posting in Georgia, will be presented with specially-designed glass keepsake featuring Georgia's map, coat of arms as well as an inscription commemorating the ambassador's years in Georgia. The Ministry presented the first of these souvenirs to the outgoing ambassadors of the Czech Republic, Turkey and Australia.

🌸 Celebrating national holidays

Every country has its own national holiday, which its embassy in Georgia usually celebrates by holding a reception. As a token of attention and respect, Georgia's Foreign Ministry has decided to send bouquets of flowers to the wives of ambassadors to mark their national days – bouquets whose colours will match the colour-scheme of their national flags.

🇪🇺 All of Europe in a single day

რომელსაც შემდგომ მიღებით ვასრულებთ. ჩვენი მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება ხომ ასევე არის ქვეყნის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი და მას მეტი წარმოჩენა, დაფასება სჭირდება. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროში გავმართეთ ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. ნიკოლოზ რაჭველი ჩემი მეგობარია და სიამოვნებით დათანხმდა ამ ინიციატივას. კონცერტს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ და ჩვენ ერთად მშვენიერი საღამო გავატარეთ. ასევე გავმართეთ ს. ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის კონცერტი და ახალგაზრდა შემსრულებლებსაც დავუთმეთ სცენა.

🎵 მემორიალური სუვენირები პატივისცემის ნიშნად

🔴 ნებისმიერი დიპლომატიისთვის ელჩად მუშაობა მნიშვნელოვანი ეტაპია კარიერაში. როდესაც ელჩი რომელიმე ქვეყანაში მუშაობას ასრულებს, მას, როგორც წესი, მასპინძელი სახელმწიფო განსაკუთრებული პატივით აცილებს და მადლობას უხდის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ყველა ელჩს, რომელიც რამდენიმეწლიანი მოღვაწეობის შემდეგ საქართველოს დატოვებს, სპეციალურად მისთვის დამზადებული და მისი საქართველოში მოღვაწეობის ამსახველი სუვენირი გადავცეთ. საჩუქარი მინისგანაა დამზადებული. მასზე ამოტიფრულია საქართველოს რუკა, გერბი და ახლავს წარწერა, რომელიც აღნიშნავს ელჩის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდს. პირველი ასეთი სუვენირი ჩეხეთის, თურქეთის და ავსტრალიის ელჩებს ერგოთ.

🎁 ეროვნული დღესასწაულების აღსანიშნად

🔴 მოგეხსენებათ, ყველა ქვეყანას აქვს ეროვნული დღესასწაული. ამ დღეს თბილისში აკრედიტებული საელჩოები საზეიმო მიღებით აღნიშნავენ. ჩვენ გადავწყვიტეთ უცხო ქვეყნების ელჩების მეუღლეებს მსგავსი ტიპის დღესასწაული მათი ქვეყნის ეროვნულ ფერებში გადაწვეტილი თაიგულით მივულოცოთ. ერთი შეხედვით, თითქოს წვრილმანია, მაგრამ ყურადღების გამახატულებაა და სასიამოვნო აღმოჩნდა ყველასთვის.

🇪🇺 ევროპა - ერთ დღეში

2013 წელი საქართველოში, ევროპული ინტეგრაციის მხრივ, წარმატებული წელი იყო. მოგეხსენებათ, ვილინუსში მოხდა ასოციირების შეთანხმების პარაფირება. ევროპისკენ სწრაფვა საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია. ევროპული იდეის პოპულარიზაცია კი მხოლოდ პოლიტიკურ შეთანხმებებზე დამოკიდებული არ არის, იგი საზოგადოების ფართო ფენებთან მუშაობას საჭიროებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს კი ამ მიმართულებითაც შეუძლია საინტერესო ღონისძიებების განხორციელება. მაგალითად, 2013 წელს, ევროპული იდეის პოპულარიზაციის მიზნით, გადავწყვიტეთ და ბავშვთა დაცვის დღეს ორგანიზება გავუკეთეთ საგანმანათლებლო ტურს „ვეცნობით ევროპას“. პროექტში სხვადასხვა სკოლის 70-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის იყვნენ დევნილები და ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. მათ საქართველოში აკრედიტებული საელჩოები



“ It will hopefully also include many non-resident ambassadors to Georgia, and will give all our guests the opportunity to gain valuable insights into Georgia and discover-or re-discover-what we believe makes our country so special and so beautiful. ”

The year 2013 has been very successful in terms of Georgia's European integration. As you know, Georgia initialed Association Agreement with the EU in Vilnius. Striving towards Europe is Georgia's main foreign policy priority, but efforts to popularize and spread European ideals are not only conditional upon political agreements: this calls for extensive work with the wider public, and the Georgian Foreign Ministry will put into motion a series of interesting activities in this direction too. To mark International Children's Day on the 31st of May 2013, for example, and as part of its efforts to promote the European idea, the Georgian Foreign Ministry organized an event dubbed the "We get to know Europe" Tour. During this Tour, up to 70 pupils from public schools in Tbilisi, including internally displaced and socially vulnerable children, visited the embassies of various European countries, where they were given information on each country. To add fun to this activity, the schoolchildren were also given symbolic passports in which the embassies affixed seals certifying their "stays" in foreign countries. The enthusiastic involvement of many embassies in this process was extremely important, particularly as European integration implies success for both Georgia and the European Union.

🏈 Football (however strange it may seem)

📌 This year's football World Cup is scheduled to take place in Brazil... but before that a somewhat smaller 'World Cup' is due to be held in Georgia! Our football tournament will involve teams representing the Georgian Foreign Ministry as well as others from different embassies accredited in Georgia. Besides promoting a healthy way of life, this event will also serve a charitable purpose, as the income generated by the sale of symbolic tickets for the games will go towards the refurbishment of sports facilities in schools. Many foreign embassies in Georgia have welcomed this initiative of ours with great enthusiasm, and even various countries with non-resident embassies to Georgia have appealed to us asking to be able to take part!

The Canadian embassy to Georgia, for example, will send a team to Georgia from Ankara; the U.S. embassy will field two teams; teams from the EU Monitoring Mission will also take part in the tournament; and the Swedish team will be captained by its ambassador to Georgia, Ms Diana Janse. I think we can all look forward to an amazing show, although the most important aspect of the tournament will of course be its charitable cause. We have adopted a very serious approach to holding this event, and have even involved the Football Federation in preparations. The winner's prize, the "Diplomat's Cup", will be awarded by Mr Kakhi Kaladze (a former international footballer, and now Georgia's Minister of Energy).

This has to be one of the most pleasant aspects of our work.

These are only part of the activities we plan to carry out in the future. When it comes to innovations and innovative approaches, a great deal depends on our team, and their role is essential in finalizing the process. It gives me a great feeling of satisfaction that they are always supportive, enthusiastic and full of interesting ideas.

დაათვალიერეს. ეს ყველაფერი სახალისო რომ ყოფილიყო, მოვიფიქრეთ პასპორტები, რომლებსაც ჰქონდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს გვერდი და ბავშვებს კონკრეტული საელჩოს სტუმრობისას, იმ ქვეყნის „ვიზას“ უფორმებდნენ. აქციაში 12-მა საელჩომ მიიღო მონაწილეობა. ისინი დიდი ენთუზიაზმით მოევიდნენ ჩვენს ინიციატივას. საელჩოების ჩართვა კი ამ პროცესში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ევროპული ინტეგრაცია ორივე მხარის წარმატებას ნიშნავს - როგორც საქართველოსი, ისე ევროკავშირის.

🏈 ფეხბურთი, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს

📌 მომავალ წელს მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ბრაზილიაში ტარდება, თუმცა მანამდე მცირე მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება საქართველოში განვიზრახეთ (ხუმრობით). საფეხბურთო ტურნირში საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გუნდები მონაწილეობენ. გარდა იმისა, რომ, გარკვეულწილად, ამ აქციით ვენევით ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, ღონისძიებას საქველმოქმედო ხასიათიც აქვს. მატჩებზე დასასწრები ბილეთები სიმბოლურ ფასად გაიყიდება, შემოსული თანხა კი სკოლების სპორტული დარბაზების კეთილმოწყობას მოხმარდება. საელჩოები საფეხბურთო ტურნირის ინიციატივას დიდი ენთუზიაზმით მოევიდნენ. მაგალითად, ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელსაც ჩვენთან საელჩო არ აქვს და სხვა ქვეყნიდან გვფარავს, ასევე გამოთქვა ტურნირში მონაწილეობის სურვილი.

კანადის საელჩო გუნდს ანკარიდან გზავნის, ამერიკის საელჩო ორი გუნდით წარდგება ტურნირზე. არიან გუნდები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიიდან. შვედეთის გუნდის კაპიტანი შვედეთის ელჩი, დიანა იანსეა. ვფიქრობ, საინტერესო სანახაობა გველის. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ტურნირს საქველმოქმედო მისია ექნება. საქმეს ძალიან სერიოზულად მივუდევით, ფეხბურთის ფედერაციაც ჩავრთეთ, რათა ორგანიზებაში გაგვიწიონ დახმარება. ტურნირის გამარჯვებული ჯილდო „დიპლომატის თასი“ გარდამავალი იქნება და მისი გადაცემა ჩემპიონისთვის კახი კალაძეს გვინდა ვთხოვოთ.

ეს ნაწილია იმ ღონისძიებების რასაც გვეგმავთ და რაც მომავალში შესაძლოა განვახორციელოთ. ერთი რამ მინდა აღვნიშნო, და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, როდესაც ვსაუბრობთ ნოვაციებსა და ახლებურ მიდგომებზე, ბევრი რამ არის დამოკიდებული გუნდზე, რომელიც ამ ყველაფრის თანახმარია, მე კი, შემძლია სიხარულით ვთქვა, მათი მხრიდან ყოველთვის მხვდება ენთუზიაზმი, ხელშეწყობა და საინტერესო იდეები.

Nino Lomidze/ნინო ლომიძე

ინოვაცია



ნირვანესკი
Nirvanesque®



NUXE
PARIS

პირველი ნაოჭების საინააღდეგო კრემი
ბოტოქსის ეფექტით

მომენტალურად გადაასწორებს მიმიკურ ნაოჭებს, ხსნის კანის სტრესს, უზრუნველყოფს კანის რელაქსაციას. უკვე 28 დღეში:

- ნაოჭების შემცირება/კანის რელაქსაცია - 80%
- კანის განახლება გაჯანსაღება - 80%
- ინტენსიური დატენიანება - 83%



If I follow the inclination of my nature, it is this: beggar-woman and single, far rather than queen and married.

თუ ჩემს მისწრაფებებს მივყვები, უფრო მარტოხელა ქალი ვარ, რომელიც მოწყალებას თხოულობს, ვიდრე გათხოვილი დედოფალი.



**Elizabeth I
Tudor**

» ელიზაბეტ I ტიუდორი «




Jeffrey McDaniel

» ჯეფრი მაკდენიელი «

There's two kinds of women--those you write poems about and those you don't.

არსებობს ქალის ორი ტიპი - ვისაც ლექსებს უძღვნი და ვისაც არა.



When a man plans, a woman laughs.
როცა კაცი გეგმავს, ქალი იცინის.

David Wong

» დევიდ ვონგი «



The most beautiful clothes that can dress a woman are the arms of the man she loves. But for those who haven't had the fortune of finding this happiness, I am there.

ყველაზე ლამაზი სამოსი, რომლის მორგებაც ქალს შეუძლია, საყვარელი კაცის მკლავებია. მაგრამ მათთვის, ვისაც არ გაუმართლა და ვერ იპოვა ეს ბედნიერება - მე აქ ვარ.

Yves Saint-Laurent

» ივ სენ-ლორანი «

No woman can call herself free until she can choose consciously whether she will or will not be a mother.

არცერთ ქალს არ შეუძლია, თავს თავისუფალი უწოდოს, სანამ გაცნობიერებულად არ გადაწყვეტს - უნდა თუ არა დედობა.



Margaret Sanger

მარგარეტ სენგერი

*Women are never so strong as
after their defeat.*

ქალი არასოდეს არის ისე ძლიერი,
როგორც მარცხის შემდეგ.

» ალექსანდრე დიუმა «

Alexandre Dumas




Amy Bloom

ვიმი ბლუმი

*Men do not know
what they do not know,
and women should not
tell them.*

კაცებმა არ იციან, ის რაც არ
იციან და ქალებმა არ უნდა
უკარნახონ.




*Once made equal to man, woman
becomes his superior.*

როგორც კი ქალი კაცს გაუთანასწორდება,
მისი გემდღომი ხდება.

Socrates

» სოკრატე «



*Why did God make women
so beautiful and man with such
a loving heart?*

რატომ შექმნა ღმერთმა ქალი

- ასეთი ლამაზი და კაცი

- ასეთი მოყვარული გულით?

Walker Percy

» უუკერ პერსი «

**Berta
Ruck**

» ბერტა რუკი «



*Women would rather talk to other women than
to men, even when they would rather talk to a
man than to a woman.*

ჭობს, ქალები სხვა ქალებს დაელაპარაკონ, ვიდრე კაცებს,
მაშინაც კი, თუ ურჩევნიათ, კაცს ელაპარაკონ, ვიდრე ქალს.

What did one wall say to another?


რა უთხრა ერთმა კედელმა მეორე კედელს?


Jerome David Salinger

ჯერომ დევიდ სელინჯერი

Reclusion of Holden Caulfield's creator, American writer, Jerome David Salinger is proved by his words told to the journalists during the interview – "I like writing, but I write only for my own pleasure. When you do not publish, you find amazing peace... Publishing is severe violation of private space." Interest of both readers and journalist had always been high for the writer, however in 1951, after publishing "The Catcher in the Rye", Salinger decided to retire and since 1980 he even refused to give interviews anymore.

პროტაგონისტი ჰოლდენ კოფილდის შემქმნელი ამერიკელი მწერალი, ჯერომ დევიდ სელინჯერი რომ კარჩაკეტილი ცხოვრებით გამოირჩეოდა, ამას ჟურნალისტებთან ინტერვიუში მის მიერ გაჟღერებული სიტყვებიც მოწმობს - „მიყვარს წერა, თუმცა მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ვწერ, როცა არ აქვეყნებ, საოცარ სიმშვიდეს ვპოვებ, ... გამოქვეყნება პირადი სივრცის საშინელი დარღვევაა.“ მწერლის მიმართ როგორც მკითხველის, ისე ჟურნალისტების ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, თუმცა 1951 წელს, „თამაში ჭვავის ყანაში“ გამოქვეყნების შემდეგ, სელინჯერმა განმარტოვება გადაწვიტა, 1980 წლიდან კი ინტერვიუების მიცემაზეც უარი განაცხადა.





სელინჯერი საზოგადოებისგან იმდენად იზოლირებულ ცხოვრებას ეწეოდა, რომ მის სახელს ხშირად უძღვის წინ სიტყვა „კარჩაკეტილი.“ გადამწყვეტილების მიზეზად - საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში ყოფნაზე უარი ეთქვა - მრავალ ვერსიას ასახელებენ. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ამის მიზეზი ამერიკული „სელებრიტული“ ცხოვრების წესის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი იყო. სხვა ვერსიას თუ დავეყრდნობით, რომელიც გარკვეულწილად სარწმუნოა, სელინჯერის ცხოვრებას ყველაზე დიდი დალი მეორე მსოფლიო ომმა

დაასვა, რამაც თავისებური გამოხატულება მისი ცხოვრების წესის არჩევაშიც კპოვა. აღსანიშნავია, რომ თავად ავტორი, ამას შემოქმედებითი უნარის შენარჩუნების მცდელობით ხსნიდა. მისი თქმით, ამისათვის იზოლაცია აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

ძნელი სათქმელია, რამდენად გახდა მეორე მსოფლიო ომის გამოცდილება მისი განმარტოების ერთადერთი მიზეზი, თუმცა ომის შემდგომი სტრესი მის შემოქმედებაზე რომ ნამდვილად აისახა, ეს სელინჯერის ყველა იმ მკითხველმა კარგად იცის, რომელსაც პასუხი აქვს კითხვაზე, თუ რა უთხრა ერთმა კედელმა მეორე კედელს.

იზოლაცია მართლაც, რომ აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი პროდუქტიულობის გასაზრდელად, თუმცა ისიც ფაქტია, რომ სელინჯერის შემოქმედება მკითხველამდე არ აღწევდა. მარტივი მიზეზის გამო - მას არაფრის გამოქვეყნების სურვილი აღარ ჰქონდა. ისიც ნათელია, რომ ავტორის წერა არ შეუწყვეტია. ამას მისი ოჯახის წევრებიც ადასტურებენ.

არცთუ დიდი ხნის წინ იგივე დაადასტურა ჯოს მენარდმაც, ქალმა, რომელსაც 1972 წელს ჯერომთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. „საბეჭდი მანქანის ხმა ყოველდღე მესმოდა,“ - განუცხადა მან პრესას, როდესაც მრავალწლიანი დუმილის შემდეგ სელინჯერთან თავისი პირადი მიმოწერა აუქციონზე გაყიდა.

ავტორის გარდაცვალების შემდეგ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი მოთხრობები პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ტეხასის უნივერსიტეტის ჰარი რენსონის ცენტრში ინახებოდა და მათი ხილვა მხოლოდ მკვლევარებისთვის, ისიც ზედადამხედლობის ქვეშ იყო ნებადართული. 2013 წლის ნოემბერში, სამი მოთხრობა მეკობრული გზით კიბერსივრცეში გავრცელდა, რამაც მწერლის შესახებ სიახლეებს მონატრებული მკითხველი და მსოფლიო პრესა ალაპარაკა. Birthday Boy, Paula და The Ocean Full of Bowling Balls - ავტორის სურვილისამებრ, ამ მოთხრობებიდან პირველი ორი ფართო საზოგადოებას არასდროს უნდა ენახა, უკანასკნელი კი მისი გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო, ამიტომ ინტერნეტში მათი არალეგალურად „გაჟონვა,“ არცთუ უსაფუძვლოდ, დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა.

27 ნოემბერს ეს მოთხრობები ფაილების გასაზიარებელ ერთ-ერთ საიტზე, What.cd-ზე გამოჩნდა, მოგვიანებით კი სხვა ინტერნეტპლატფორმებზეც გავრცელდა. პრინსტონის უნივერსიტეტის წარმომადგენლის ვარაუდით, შესაძლოა, მოთხრობები უნივერსიტეტის სამკითხველო ოთახში ვინმემ ხელით გადაწერა, ან მეორე ვერსიით, მათი ჯერ კიდევ 1980 წლამდე გადაღებული ფოტოასლები გაავრცელეს.

რა თქმა უნდა, თავდაპირველად, ამ მასალების ავთენტურობა ეჭვქვეშ იდგა, თუმცა, მოგვიანებით მათი რეალურობა Los Angeles Times-ის ლიტერატურის კრიტიკოსმა, დევიდ ლ. იულინმა და სელინჯერის ბიოგრაფიული წიგნის ავტორმა, კენეთ სლავენსკიმაც დაადასტურეს. ჰოლდენ კოფილდს ხომ ყველაფრის მიმართ პროტესტის გრძნობა

Salinger led a life so isolated from the public, that his name is often preceded by the word “secluded”. Many versions of Salinger’s reasons for rejecting life in the center of public interest are named. According to one of such versions, the reason was the protest against American celebrity lifestyle. According to another version, which seems somehow trustworthy, WWII left significant marks on Salinger’s life, and it had peculiar expression in his way of living. It is noteworthy that author himself explained this as an effort to maintain creative ability. According to his words, isolation was necessary condition for it.

It is hard to tell whether the war experience was the only reason for his seclusion or not, however it is inarguable that post-war stress really affected his creations. This is a well-known fact for any reader of Salinger who has an answer to the question: what did one wall say to another?

Indeed, isolation is necessary to increase creative productivity, however it is also a fact that Salinger’s creations were not reaching the reader. It had a simple reason – he had no desire to publish anything anymore. Still he did not cease writing. Members of his family confirm that.

Not a long time ago, the same was confirmed by Joyce Maynard, the woman who had an affair with Jerome in 1972. “I could hear the voice of typewriter every day” – she told the press when after years of silence she sold her private correspondence with Salinger at the auction.

After the death of the author short stories unknown to the publicity were kept at the Princeton University library and Harry Ransom Center of the Texas University and they were disclosed only to researchers, under the supervision. In

November 2013, three short stories leaked to the network through the pirate channels, which caused wide correspondence among readers and world press, craving for some news about the writer. "Birthday Boy", "Paula" and "The Ocean Full of Bowling Balls" – according to the author's will, first two should have never been disclosed to the public, as for the last one – it should have been 50 years after his death. Therefore illegal leaking of these materials to the worldwide web, deservedly became a subject of great controversy.

First these short stories appeared on November 27, on file sharing site What.cd and later spreaded to different internet platforms. According to assumption of the Princeton University representative, it is possible that stories were copied manually in the reading room of the library or according to the second version, photocopies made before the year 1980 were leaked.

Of course initially authenticity of these materials were questioned, however later their legitimacy was confirmed by LA times book critic David L. Ulin and author of Salinger's biographical book Kenneth Slawenski.

Did not Holden Caulfield have the sense of protest towards everything?! This exact protest and sensitive nature brings him closer to all those teenagers, who associate themselves with this character. "The Catcher in the Rye" is the book which brought the biggest fame to Salinger. Until now 250 thousand copies are sold annually. The total number of sold copies have already exceeded 65 millions. One more distinguishing characteristic of the book also is that for some period it was banned and later it was declared as compulsory school material. Everyone who has experienced Salinger's works knows well how much attention the author devotes to each character. For example, story of Glass family is scattered across series of short stories and all stories are interconnected. As it turned out, story of Holden Caulfield does not limited by one book. Aforementioned "The Ocean Full of Bowling Balls" tells the reader about last days of Holden's young brother. This short story is a prequel to the "Catcher in the Rye" and the narrator in the latter is DB or Vincent Caulfield, Holden's older brother. The story also includes the letter of Holden, sent home from the camp, which of course is filled with grammar errors.

ჰქონდა?! სწორედ ეს პროტესტი და მგრძობიარე ბუნება აახლოებს მას ყველა იმ თინეიჯერთან, რომელიც საკუთარ თავს პროტაგონისტთან აიგივებს. „თამაში ჭვავის ყანაში“ ის წიგნია, რომელმაც სელინჯერს ყველზე დიდი პოპულარობა მოუტანა. დღემდე, ყოველწლიურად წიგნის 250 ათასი ეგზემპლარი იყიდება, ჯამში კი მისმა ტირაჟმა 65 მილიონს გადააჭარბა. ეს წიგნი იმიტაც გამოირჩევა, რომ ერთ დროს მისი ნაკითხვა აკრძალული იყო, შემდგომ კი სკოლებში აუცილებლად საკითხავ ლიტერატურადაც გამოცხადდა.

ყველამ, ვინც სელინჯერის შემოქმედებას იცნობს, კარგად იცის, თუ რამხელა ყურადღებას უთმობს ავტორი თითოეულ პერსონაჟს. მაგალითად, გლასების ოჯახის ისტორია მოთხრობათა მთელ ციკლშია გაბნეული და ყველა მოთხრობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. როგორც აღმოჩნდა, არც პოლდენ კოფილდის ისტორია შემოიფარგლება მხოლოდ ერთი წიგნით. ზემოხსენებული The Ocean Full of Bowling Balls პოლდენის უმცროსი ძმის ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე მოუთხრობს მკითხველს. ეს მოთხრობა „თამაში ჭვავის ყანაშის“ პრიკველია და ამ უკანასკნელში, მოთხრობელად „დი ბის“ (DB) სახელით ცნობილი, იგივე ვინსენტ კოფილდი, პოლდენის უფროსი



As for the "Birthday Boy", it is dated by the year 1946. The action takes place in the hospital, where 22 years old Ray is treated for alcohol-induced disease. His girlfriend Miss Collins comes to visit him on his birthday. Miss Collins tries wholeheartedly to cheer Ray up and Ray's gloomy and cynical responses raises sadness in the reader, which accompanies the whole story and is so characteristic for Salinger's art.

It is assumed that "Paula" is unfinished version of lost novel, sometimes named as "Mrs. Hincer". There are lots of repetitions and unfinished sentences in it. In the story a woman lies to her husband that she is pregnant... It is noteworthy that in the letter, dated by the year 1941, he addresses this short story as the first and the last "horror story" of his.

One more news that attracted Salinger's fans' attention are documentary shot about the author and biographical book. Even before the public attention was drawn to the "leaked" materials, director Shane Salerno started working on a documentary which was premiered in September 2013. The great resonance followed right after announcing the film. Fans were impatient for the premier, when members of Salinger family were not hiding their skepticism saying that Salinger was so secluded that it would be really hard to acquire materials for the film.

As for the book "The Private War of J.D. Salinger" – it is the product of cooperation between Shane Salerno and the bestselling author of the New York Times, David Shields. It was published on September 3, 2013.

During assessment of movies, as well as books, critics consider various criteria. One observer suggests, that preparation of these materials about the author is going against his isolated lifestyle. However criticism stays as criticism and is only popular among the circle of observers, because devoted readers of the author are only interested in what did one wall say to another. Everything else is secondary.

David Parulava/დავით დარულავა

ძმა გვევლინება. მოთხრობაში ჰოლდენის მიერ ბანაკიდან სახლში გაგზავნილი წერილიცაა მოცემული, რომელიც, რა თქმა უნდა, გრამატიკული შეცდომებითაა გავსებული.




რაც შეეხება Birthday Boy-ს, იგი 1946 წლით თარიღდება. მოქმედება საავადმყოფოში ხდება, სადაც 22 წლის ალკოჰოლიზმის სენთან მებრძოლ რეის დაბადების დღეზე შეყვარებული, ესელი ესტუმრება. ესელი მის გამხიარულებას მთელი გულით ცდილობს, რეის პირქუში და ცინიკური პასუხი კი მკითხველში იმ სევდიან განწყობას ბადებს, რომელიც მთლიანად მოთხრობას გასდევს და რომელიც სელინჯერის შემოქმედებისთვისაა დამახასიათებელი.


ვარაუდობენ, რომ Paula ზოგჯერ Mrs. Hincer-ად მოხსენიებული დაკარგული მოთხრობის დაუსრულებელი ვერსიაა. მასში ხშირად გვხვდება გამეორებები და დაუსრულებელი წინადადებები. მოთხრობაში ქალი ქმარს ატყუებს, თითქოს ფეხშიმედაა... აღსანიშნავია, რომ სელინჯერი 1941 წლით დათარიღებულ წერილში ამ მოთხრობას მის პირველ და უკანასკნელ „საშინელებათა მოთხრობას“ უწოდებს.

კიდევ ერთი სახე, რომელმაც სელინჯერის თაყვანისმცემლების ყურადღება მიიქცია, ავტორის შესაძლებლად გადაღებული დოკუმენტური ფილმი და ბიოგრაფიული წიგნია. ჯერ კიდევ იქამდე, სანამ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ინტერნეტში „გაჟონილი“ მოთხრობები მოხვდებოდა, რეჟისორმა შეინ სალერნომ დოკუმენტურ ფილმზე დაიწყო მუშაობა, რომლის პრემიერაც 2013 წლის სექტემბერში გაიმართა. ფილმის დაანონსებისთანავე რეზონანსმაც არ დააყოვნა. ფაქტები ფილმის გამოსვლას სულმოუთქმელად ელოდნენ, სელინჯერის ოჯახის წევრები კი სკეპტიკურ განწყობას არ მალავდნენ, რადგან მათი თქმით, სელინჯერი იმდენად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, რომ ფილმისთვის მასალების მოძიება ძალიან გაძნელებულია.

რაც შეეხება წიგნს - The Private War of J.D. Salinger - მასზე შეინ სალერნომ და ნიუ იორკ თაიმსის ყველაზე კარგად გაყიდვადმა ავტორმა, დევიდ შილდსმა ერთობლივად იმუშავეს და იგი 2013 წლის 3 სექტემბერს გამოქვეყნდა.

როგორც ფილმის, ისე წიგნის შეფასებისას, კრიტიკოსები სხვადასხვა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ. ერთ-ერთ მიმომხილველს თუ დაუვკერებთ, ავტორის შესახებ ამ მასალების მომზადება მისი იზოლირებული ცხოვრების წესის წინააღმდეგ წასვლაა, თუმცა კრიტიკა კრიტიკად რჩება და იგი, რაღაც მხრივ, მხოლოდ მიმომხილველების წრეშია პოპულარული, რადგან ავტორის ერთგულ მკითხველს სინამდვილეში მხოლოდ ის აინტერესებს, თუ რა უთხრა ერთმა კედელმა მეორე კედელს. სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.





გიყვარს შენი ავტომობილი?

შეინახე ისტორია თვეგეტა მოტორსში

ჩემი ავტომობილის ისტორია

- განუული ხარჯების ანალიზი
- აუცილებელი რეკომენდაციები და შესხენებები

www.mycarhistory.ge

FEBRUARY თებერვალი

Calendar


1 1884



The first edition of Oxford English Language Dictionary was published.

გამოვიდა ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის პირველი გამოცემა.

2 1970



The first neural-transplant operation took place at the Munich clinic.

პირველად მიუნხენის კლინიკაში შედგა ადამიანის ნერვის გადანერგვა.

3 1946




The first Estee Lauder shop for women was opened. გაიხსნა ბრენდ „ესტე ლაუდერის“ პირველი მაღაზია ქალბატონებისთვის.

4 1935



Testing of the first train took place at the Moscow subway. მოსკოვის მეტროში შედგა პირველი მატარებლის ტესტირება.

5 1850



February 5, 1850–The first calculating machine was patented in the USA.

შევრთებულ შტატებში დაპატენტდა პირველი გამოსათვლელი მანქანა.

6 2000



For the first time in the history of Finland, a woman, Tarja Halonen, came out as a victor of presidential elections. პირველად ფინეთის ისტორიაში საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ქალმა - ტარია ჰალონენმა.

7 1952



Queen Elizabeth II ascended on the Royal Throne of England. ინგლისის სამეფო ტახტზე ავიდა დედოფალი ელისაბედ II.

8 1587



Execution of Mary Stuart. მარია სტიუარტის სიკვდილით დასჯა.

9 1993



Solo album of Paul McCartney „Off the Ground“ was released. გამოვიდა პოლ მაკარტნის სოლო ალბომი - Off the Ground.

10 1991



Mass cholera epidemic broke out in South Africa. მასობრივი ქოლერის გაღვივება სამხრეთ აფრიკაში.



History is printed



Make your BRAND the part of HISTORY.
2 252 275 | 577 74 17 00 17 Mtskheta str. Tbilisi Georgia


11 1975

Margaret Thatcher was elected as a leader of the British Conservative Party.

მარგერეტ ტეტჩერი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის მეთაურად აირჩიეს.



12 1864



The Moscow Zoo was opened.
გაიხსნა მოსკოვის ზოოპარკი.

13 1917



English women were granted the right to drive cabs.
ინგლისში ქალბატონებმა ტაქსის მართვის უფლება მიიღეს.

14 1988



Fire in the Library of the Russian Academy of Sciences in the St. Petersburg (up to 4 million books were burned).

პეტერბურგის მეცნიერთა აკადემიის ბიბლიოთეკის ხანძარი (დაიწვა 4 მილიონამდე წიგნი).

15 2000

Mass wedding ceremony took place at Seoul with 30 000 couples participating in it.
სეულში შედგა მასობრივი ქორწინება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30.000-მა წყვილმა.



16 1878

Silver dollar enters the monetary circulation in the United States.
შერთებულ შტატებში ბრუნვაში შემოდის ვერცხლისფერი დოლარი.



17 1852



The State Hermitage Museum was opened in the St. Petersburg
პეტერბურგში გაიხსნა ერმიტაჟის მუზეუმი.

18 1979



The first snowfall for the century in the Sahara desert.
პირველად ასწლეულის მანძილზე საჰარას უდაბნოში მოვიდა თოვლი.

19 1992



The eldest, 59 year old primate died at the Atlanta Zoo.
ატლანტის ზოოპარკში 59 წლის ასაკში გარდაიცვალა უხუცესი პრიმატი დედამიწაზე.

ბიზნეს კატალოგი (www.bcat.ge) ყველაზე დიდი და მუდმივად განახლებადი ბაზა საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების შესახებ



www.bcat.ge

ბიზნეს ინფორმაციის პროვაიდერი!



ბიზ

ბიზნეს ინფორმაციის სააგენტო

განათავსეთ ინფორმაცია თქვენი ბიზნესის შესახებ ყველაზე ცნობილი ქართული კომპანიების კატალოგში მართვად, სწრაფად და უფასოდ:

- აღმოაჩინეთ თქვენი ბიზნესი bcat.ge-ზე
- იპოვეთ მომწოდებელი და დისტრიბუტორი
- მოიძიეთ ახალი კლიენტები და გაზარდეთ კომპანიის გაყიდვები
- აირჩიეთ კომპანია ინვესტირებისთვის
- გააუმჯობესეთ კომპანიის ეფექტურობა
- იპოვეთ ახლადდარეგისტრირებული კომპანიები
- დაუკავშირდით სამიზნე ჯგუფებს
- გაზარდეთ კომპანიის ცნობადობა
- დაიმკვიდრეთ სასურველი იმიჯი
- თვალი ადევნეთ ბიზნეს ტენდენციებს

კირველად საქართველოში!

ამომწურავი ინფორმაცია 40-ზე მეტი საძიებო კრიტერიუმის მიხედვით 500-მდე ბიზნეს სფეროში მოღვაწე 14 000-ზე მეტ კომპანიაზე... და ეს მონაცემები ყოველდღიურად იზრდება

20 395



The first nunnery was founded in the Bethlehem.
ბეთლემში დაარსდა პირველი ქალთა მონასტერი.

21 1431



Jana D'Ark trial commences.
ინეგბა ჟანა დარკის სასამართლო პროცესი.

22 1886

The first yellow news column was published in the "Times" newspaper.
გაზეთ „თაიმსში“ პირველად გამოჩნდა ყვითელი ამბების სვეტი.



The Times
The right place. The right Times.

23 1984



Brunei declared its independence.
გამოცხადდა ბრუნეის დამოუკიდებლობა.

24 1981

The Buckingham Palace officially announces engagement of the Prince Charles and Diana Spencer.

ბუკინგემის სასახლემ ოფიციალურად განაცხადა პრინც ჩარლზისა და დიანა სპენსერის ნიშნობის შესახებ.



25 1601




Execution of Robert Devereux, Earl of Essex and former lover of Elizabeth I, in the Tower of London.

ტაუერში ჩამოახრჩეს გრაფ ესეკსი, დედოფლის ყოფილი საყვარელი.

26 1987

The General Synod of England's Anglican Church voted to support the ordination of women priests.

ანგლიკანურმა ეკლესიამ მღვდლად კურთხევის უფლება მიანიჭა ქალბატონებს.




27 1974

The first issue of weekly journal People was published.
გამოვიდა ყოველკვირეული ჟურნალი People-ის პირველი ნომერი.



28 1993


The trial against American communist Angela Davis commenced in San Jose.
სან ხოსეში დაიწყო სასამართლო ამერიკელ კომუნისტ ანჟელა დევისის წინააღმდეგ.



“primeclass” CIP სამსახური თქვენი პირადი დამხმარე აეროპორტში



ექსკლუზიური მომსახურება
ჩამოსვლისას
თუ გამგზავრებისას



მებარგულის
მომსახურება



პირადი ასისტენტი
უსაფრთხოების კონტროლის
გავლისას



პირადად თქვენთვის
განკუთვნილი მოსასვენებელი
დარბაზები



TAV 
primeclass

თბილისი : +995 322 310 330
ბათუმი : +995 422 235 111
www.primeclass.com.tr
TAV Georgia Operation Services L.L.C.

Change the quality of your life here and now!

შეცვალეთ საკუთარი
ცხოვრების ხარისხი
აქ და ახლა!

Everyone wants to improve or make large or slight changes to their life. Generally people are characterized by the expectation of the global change. During daydreaming about the future each person depicts improved version of the existing reality. We often expect that the changes will be brought by coincidences of different fascinating factors. However each of us should know that everything is in our hands. Yes we using two hands, feet and the bright mind, here and now can change and improve first present and then the future by developing easy everyday habits.

Habits presented in this article are well-known for everyone. You have often read and heard such simple truth. It is possible that some of them already are integral part of your everyday life. However we still consider that in such accumulated form this article is useful and important reading material. Hand this page at the visible place, go through it every day, implement at least several bullets from the list and feel the positive impact of the wind of change:

ცხოვრების გაუმჯობესების, შეცვლის ან ჩვეულებრივ მის ყოველდღიურ მდინარეში მცირე ცვლილებების შეტანის სურვილი ნებისმიერს აქვს. როგორც წესი, ადამიანებს ახასიათებთ რაღაც გლობალური ცვლილებების მოლოდინი. მომავალზე ფიქრისას თითოეული წარმოდგენს არსებული რეალობის გაუმჯობესებულ ვარიანტს. ხშირად ამ ცვლილებებს სხვადასხვა ბედნიერი გარემოების, დამთხვევის წყალობით ველით. თუმცა თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, რომ ეს ყველაფერი ჩვენს ხელშია და სწორედ ჩვენ, ორი ხელის, ფეხის და ბრწყინვალე გონების მეშვეობით, მარტივად შესასრულებელი, ყოველდღიური ჩვევების გამომუშავებით შეგვიძლია, სულ მცირე - აქ და ახლა შევცვალოთ და გავაუმჯობესოთ ჯერ აწმყო, აქედან გამომდინარე კი - მომავალიც.

ჩვევები, რომლებსაც ამ სტატიის მიუყვართ თავი, ყველასთვის კარგად ნაცნობია. ბევრჯერ ნავიკითხავთ და გსმენიათ ასეთი მარტივი ჭეშმარიტებები. შესაძლოა, რაღაც უკვე თქვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილიცაა. თუმცა, მაინც ვფიქრობთ, რომ ასე ერთად თავმოყრილი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საკითხავია. გააკარით ეს გვერდი თვალსაჩინო ადგილზე, ყოველდღე გადაავლეთ თვალი, შეასრულეთ რამდენიმე პუნქტი მაინც ამ ჩამონათვალთან და შეიგრძენით ცვლილებათა ქარის კეთილი გავლენა:

Let's start from the beginning: what is the habit? How would you explain this word to a child? Let's try together: the habit is the thing person acquires after purposeful and multiple repetition of activities targeted at learning them. The habit develops when a person has to repeat specific action multiple times for some period of time. Often it is mechanical action or behavior which happens without the presence of the consciousness or with minor share of it. For example, every morning during brushing teeth nobody analyses this action – now I will go to the bathroom, take special equipment named toothbrush, will dispose some volume of the toothpaste on it, clean my oral cavity and so on... We do all of this mechanically and this is good, useful and is some sort of investment in the future – you will maintain your teeth for longer... You should make at least 10 bullets from the list exactly such mechanical behavior and no significant effort will be required for this. Maximum one week “enforcement” on your power of will. Afterwards you will enjoy the process and results so much, that development, generalization and mechanization of the habit is guaranteed.

სულ თავიდან დავიწყეთ: რა არის ჩვევა? როგორ განუმარტავდით ამ სიტყვას ბავშვს? მოდით, ერთად ვცადოთ: ჩვევა ისაა, რასაც ადამიანი იძენს გარკვეული მოქმედებების დასასწავლად მიზანმიმართული, მრავალჯერადი გამეორების შედეგად. ჩვევა ყალიბდება მაშინ, როცა ცხოვრების გარკვეულ პერიოდში ადამიანს უწევს გარკვეული მოქმედებების ბევრჯერ გამეორება. ხშირად ეს ავტომატიზებული მოქმედება ან ქცევაა, რომელიც ცნობიერების მონაწილეობის გარეშე ან თანამონაწილეობის დაბალი ხარისხით მიმდინარეობს. მაგალითად, ყოველ დღით კბილების გახეხვისას არავინ აანალიზებს ამ ქცევას - მე ახლა შევალ სააბაზანოში, ავიღებ სპეციალურ ნივთს, რომელსაც ჯაგრისი ჰქვია, დავადებ ზედ კბილის პასტის გარკვეულ რაოდენობას, გავისუფტავებ პირის ღრუს და ა.შ... ამ ყველაფერს ავტომატურად, მექანიკურად ვაკეთებთ და ეს კარგია, სასარგებლოა და ერთგვარი ინვესტიციაცაა მომავალში - კბილები უფრო დიდხანს შეგვინარჩუნდება... ზუსტად ასეთ მექანიზმულ ჩვევად უნდა ჩამოიყალიბოთ მინიმუმ 10 პუნქტი ამ ჩამონათვალიდან და ამ მიზნის მისაღწევად ბევრიც არაფერი დაგჭირდებათ. მაქსიმუმ - ერთკვირიანი „ძალდატანება“ საკუთარ ნებისყოფაზე. მერე პროცესითაც და შედეგითაც იმდენად კმაყოფილი დარჩებით, რომ ჩვევის ჩამოყალიბება, გენერალიზება, გამეფანიკურება - გარანტირებულია.



01. Devote internet, social networks, TV and other electrical appliances less time than you used to. Start with 20 minutes. For example, turn the gadget off 20 minutes earlier right today and dedicate freed time to some pleasant and useful activity. You can find possible options in the list.

02. Start learning some foreign language without a delay. Nowadays there are lots of means to do this alone, independently. Learn at least 10 words a day, do some exercises and use tutorials... The main point is to devote at least 20 minutes to this activity each day, without exceptions. The best experience shows that it is possible to learn speaking level of the language in 6 months through everyday exercising. If you will manage the first article successfully than lack of time

01. დაუთმეთ ინტერნეტს, სოციალურ ქსელს, ტელევიზორს ან ნებისმიერ სხვა ელექტრონულ მოწყობილობას იმაზე ნაკლები დრო, ვიდრე ჩვეულებრივად უთმობდით. დაიწყეთ 20 წუთიდან. აი, მაგალითად, დღესვე 20 წუთით ადრე გათიშეთ გაჭეტი და გამოთავისუფლებული დრო რაიმე სასიამოვნო და სასარგებლო საქმეს მოახმარეთ. სავარაუდო ვარიანტებს ამ ჩამონათვალშიც იპოვით.

02. დაიწყეთ რომელიმე ახალი უცხო ენის შესწავლა დაუყოვნებლივ. დღეს უამრავი საშუალება არსებობს იმისთვის, რომ მარტო, დამოუკიდებლად შეძლოთ ამის გაკეთება. შესწავლეთ მინიმუმ 10 სიტყვა ყოველდღიურად, შეასრულეთ დავალებები, დაიხმარეთ თვითმასწავლებლები... მთავარი აქ ისაა, რომ გამოწავლისის გარეშე, ყოველდღე მინიმუმ 20 წუთი დაუთმოთ ამ საქმეს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნახევარ წელიწადში სასაუბრო დონეზე ნებისმიერი

will not be an obstacle; in return you will have one more language in your lexical weaponry. New language means new opportunities, new relations, new job...

03.

Read books! In 20 minutes before sleep you will manage to read 10-15 pages. Make the list of "must read" books. You may include fiction, documentaries or specific literature for your profession. The choice is diverse. We will not pause for long explaining what good books do. Everyone knows that books are irreplaceable, as nothing can make you experience what the world between two covers can.

04.

Take care of your body. In reality everyone knows what their body requires for staying in shape. Make eating at least five types of raw fruits and vegetables a habit. Buy a beautiful container, prepare it in the morning, clean and cut these useful goodies and eat them during the day. In this manner you will be able to overcome hunger and supply the body with necessary vitamins and microelements. I will also remind you to say no to the fast food once and for all! Workout (even at home), have a 10-15 minute walk on the fresh air, select sport activities interesting for you, go to the gym... You can think of lots of things but all of them are postponed to the mystic, future Monday. Don't wait for this Monday. Start immediately!

05.

Make saving from any monthly income you have. You can open special deposit or account in Bank. Spend the money, gathered by the end of the year, on fulfilling your dreams. Travel or buy the thing you always wanted to have, please your loving ones. You can do lots of great stuff using this "spare" money.

06.

Be supportive toward people around you. Do not spare compliments for your colleagues, do not forget to use magic words learnt in childhood (excuse me, thank you, please...) daily. In no time you will feel that people around you are as supportive as you are. You get what you give. Fortune favors smiling, positive people.

07.

Drop bad habits. There are plenty of alternatives. Replace cigarettes with chocolate, alcohol with natural juice. I would like to remind

უცხო ენის შესწავლაა შესაძლებელი ყოველდღიური ვარჯიშის შედეგად. თუ პირველ პუნქტს წარმატებით გაუმკლავდებით, დროის ფაქტორი წინაღობა აღარ იქნება; სამაგიეროდ, ერთ წელიწადში თქვენს არსენალში ერთი მეტი ენა იქნება. ახალი უცხო ენა - ახალი შესაძლებლობები, ახალი ნაცნობობა, ახალი საქმე...

03.

იკითხეთ წიგნები! ძილის წინ 20 წუთში მინიმუმ 10-15 გვერდის ნაკითხვას მოასწრებთ. გააკეთეთ სავალდებულოდ წასაკითხი წიგნების ჩამონათვალი. ეს შეიძლება იყოს მხატვრული ლიტერატურაც, დოკუმენტალისტიკაც, სპეციალური ლიტერატურაც თქვენი პროფესიიდან გამომდინარე. არჩევანი მრავალფეროვანია. რა სარგებლობა მოაქვს წიგნს - ამაზე დიდხანს არ შევაჩერებთ ყურადღებას. ყველამ იცის - წიგნი შეუცვლელი რამაა და იმას, რასაც ორყდასშუა მოქცეული სამყარო მოგცემთ, ვერ ჩაანაცვლებს სხვა ვერაფერი.

04.

იზრუნეთ საკუთარ სხეულზე. სინამდვილეში, თითოეულმა იცის, რა სჭირდება კარგი ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად. ჩვევად აქციეთ მინიმუმ ხუთი სახეობის უმი ხილის ან ბოსტნეულის ჭამა. შეიძინეთ ლამაზი კონტეინერი, დილით მოიმზადეთ, გაასუფთავეთ, დაჭერით ეს სასარგებლო საცმაცუნო და დღის განმავლობაში წახემსეთ. ასე შიშხილის გრძნობასაც დაიოკებთ და ორგანიზმსაც უზრუნველყოფთ აუცილებელი ვიტამინებით და მიკროელემენტებით. აქვე შეგახსენებთ - ერთხელ და სამუდამოდ თქვით უარი ფასტფუდზე, ნახევარფაბრიკატებზე და ძალიან გემრიელ, მაგრამ მავნე საკვებზე! ივარჯიშეთ (თუნდაც, სახლის პირობებში), ისეირნეთ სუფთა ჰაერზე 10-15 წუთი, აარჩიეთ თქვენთვის საინტერესო სპორტის სახეობა, ჩაენერეთ სპორტულ დარბაზში... უამრავი რაღაცის მოფიქრება შეიძლება და ეს ამბები, როგორც წესი, მომავალი, მისტიკური ორშაბათისთვისაა ხოლმე გადადებული. ნუ დაელოდებით ამ არარსებულ ორშაბათს. დაიწყეთ ახლავე!

05.

ნებისმიერი შემოსავლიდან, რასაც თვის განმავლობაში იღებთ, გადადეთ მცირეოდენი თანხა. შეგიძლიათ სპეციალური ანაბრის ან ანგარიშის გახსნა ბანკში. წლის ბოლოს დაგროვებული ფული კი ოცნების ასრულებას მოახმარეთ. მოგზაურობა, რაიმე ნივთი, რომლისთვისაც სულ გენანებოდით ფული, ახლობლებისთვის სიამოვნების მინიჭება - უამრავი დანიშნულებით შეიძლება ამ „გედმეტი“ ფინანსების გამოყენება.

06.

იყავით კეთილგანწყობილი გარშემომყოფებისადმი. არ დაიშუროთ კომპლიმენტები თანამშრომლებისთვის, ნუ დაივიწყებთ ბავშვობაში ნასწავლი ჯადოსნური სიტყვების (ბოდიში, მაღლობა, თუ არ შეწუხდებით...) ყოველდღიურად გამოყენებას. სულ მალე იგრძნობთ, რომ ადამიანები თქვენ ირგვლივ ასევე კეთილგანწყობილი გახდებიან. სინამდვილეში, რასაც გასცემთ - იმავეს იღებთ. ფორტუნას უყვარს მომღიმარი, კარგ განწყობაზე მყოფი ადამიანები.

07.

თავი დაანებეთ მავნე ჩვევებს. ალტერნატივა სამკარისზე მეტია. ჩაანაცვლეთ სიგარეტი - შოკოლადით, ალკოჰოლი - ნატურალური წვნიით. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ - ერთიც და მეორეც უკუქცევად პროცესებს იწვევს ორგანიზმში. ნუ გაიმწარებთ ცხოვრებას ჯანმრთელობის პრობლემებით. არც ერთი ღირს ამაღ და არც მეორე.

08.

გსმენიათ რაიმე პარაზიტ ჩანართებზე? ეს მეტყველების ერთგვარი დეფექტია. შეეცადეთ აკონტროლოთ საკუთარი მეტყველება. ლექსიკიდან ამოშალეთ უცნებურო, უსიამოვნო სიტყვები და პარაზიტი ჩანართები. ასეთებია - ანუ, ისა რა ქვია და ნებისმიერი ისეთი სიტყვა, რომელიც აბინძურებს თქვენს მეტყველებას. ივარჯიშეთ ორატორობაში. საკუთარი აზრების ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესი უნარია. ამის სწავლა შესაძლებელი და მეტიც, სავალდებულოცაა.

09.

ყოველდღიურად დალიეთ მინიმუმ 1.5 ლიტრი წყალი.

ამ სასარგებლო ჩვევის აუცილებლობას ბევრი ექიმი დაგიდასტურებთ. ხშირად დღე ისე გავა, რომ წყლის სმა არ გვახსენდება, ან გვახსენდება მხოლოდ მაშინ, როცა ძალიან მოგვწყურდება. ატარეთ ჩანთაში პატარა წყლის ბოთლი და უზრუნველყავით საკუთარი ორგანიზმი მაცოცხლებელი სითხით.

10.

დღის განმავლობაში დაუთმეთ დრო ნებისმიერ თქვენთვის სასიამოვნო საქმიანობას. ეს შეიძლება იყოს კლასიკური მუსიკის მოსმენა, ველოსიპედით გასეირნება, რაიმე ჰობი, ბავშვებთან დროის გატარება, ახლობელი ადამიანების მონახულება... ეს ყველაფერი დადებითი ემოციებით დაგტვირთავთ და დროსაც სასიამოვნოდ გაგატარებინებთ.

11.

აუცილებლად გააკეთეთ დღეში თუნდაც ერთი კეთილი საქმე.

ქვაზე დადებული მადლის ამბავი გეცოდინებათ. სამყაროში ყველაფერი კანონზომიერია. დღეს თქვენ დაეხმარებით სხვას, ხვალ კი თავად დაგტირდებათ ვინმეს დახმარება და ეჭვი არ შეგეპაროთ, ამის მსურველი ბევრი გამოჩნდება. გაცეით და მოგეცემთ. აქ მაინდამაინც ფინანსურ დახმარებაზეც არ არის საუბარი. მორალური მხარდაჭერა ხშირად გაცილებით მნიშვნელოვანია ადამიანისთვის.

12.

იყავით მიზანდასახული და ნუ ჩაიციკლებით წარუმატებლობებზე. გაიხსენეთ ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიები. ნებისმიერ მათგანს რომ პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში ყურები ჩამოეყარა და დასახული მიზნისკენ არ გაეგრძელებინა სვლა, ვერაფერს შეძლებდა. ედისონმა ათასობით წარუმატებელი ცდის შედეგად შექმნა ელექტრონათურა, უოლტ დისნეის 303 უარის მოსმენა მოუხდა სხვადასხვა ბანკისგან, სანამ დისნეილენდის ასაშენებელი ფულის კრედიტად აღებას მოახერხებდა, ბითლზის წევრებს უამრავმა ხმის ჩამწერმა სტუდიამ უთხრა უარი ჩანაწერის გაკეთებაზე... მათ რომ არ გაეგრძელებინათ იმ საქმის კეთება, რომლისაც სწამდათ, დღეს სხვა სამყაროში მოგვიხდებოდა ცხოვრება. იყავით ოპტიმისტები და თუ რაიმე გულით გსურთ, იარეთ წინ - და არც ერთი ნაბიჯით უკან. წარმატება აუცილებლად მოვა. ადრე - ან გვიან!



you once again that both of them cause reversing processes in body. Do not ruin your life with health problems. Neither is worthy of this.

08.

Have you ever heard about parasite expressions?

This is a type of speech defect. Try to control your speech. Erase swearing and unpleasant words and parasite expressions. Such are: sort of, like omg and any such expression, which pollutes your speech, Exercise in public speaking. Ability to express yourself in understandable manner is a significant skill. You can and even must learn this.

09.

Drink at least 1.5 liters of water per day. Many doctors will confirm necessity of this useful habit. Sometimes the day passes and we don't even remember to drink water, or remember only then, when we get really thirsty. Carry small bottle of water in your handbag and supply your body with the necessary volume of liquid.

10.

Devote some time to joyful activity during the day. It may be listening to the classic music, bike ride, some kind of hobby, spending time with children or visiting loving ones... All these will charge you with positive energy and you will spend time pleasantly.

11.


Make at least one good deed a day. Everything is fair in the universe. Today you help somebody and tomorrow, when you will require help many will give their hands of support. Give and it will be given to you. This does not necessarily mean financial aid. Moral support is often more important for the person.

12.

Be target-oriented and do not dwell on failures. Recall biographies of celebrities. If any of them had thrown in the towel after the first failure, none of them would have achieved anything. It took Thomas Edison thousands of unsuccessful experiments before creation of light bulb, Walt Disney got turned down 303 times by different banks before he was given installment for building of the Disney Land, Beatles were rejected by lots of record companies... If they had not pursued their aims, we would live in a different world. Be optimistic, and if you really desire something go forward – and not one step back. The success will come. Sooner or later!

Nino Lomidze/ნინო ლომიძე

LE LANGAGE DE LA PEAU
LIERAC
P A R I S



HYDRA-CHRONO+

დატენიანება & დაცვა

HYDRA-CHRONO + დამატენიანებელი გამა LIERAC-გან ყველა ტიპის კანისთვის, ნებისმიერ ასაკსა და ნებისმიერ დროს !

მეცნიერული კვლევების უახლესი აღმოჩენა: აქტიური ინგრედიენტებისა და დამატენიანებელ მცენარეთა კომპლექსების ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს გამომშრალი კანის ხანგრძლივ დატენიანებას, დაცვას, კვებასა და გაჯანსაღებას !

- მომენტალური დატენიანება - 99%
- ხავერდოვანი და მბზინვარე კანი - 97%
- კომფორტის შეგრძნება - 99%





Guchi Tavkhelidze

გუჩი თავხელიძე

Cosmetics company Avon
Manager of the Public Relations

კოსმეტიკური კომპანია „ეივონი“
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

❖ Three items you cannot live without?

👉 Mobile phone, pocketbook and my favorite lipstick "Avon Ultra Color"

❖ What prevents a woman from being successful?

👉 If you really have your heart set on success nothing can prevent you from succeeding. Any obstacle should be considered as a challenge you can gain experience from.

❖ What is your unique characteristic?

👉 Whenever making a complicated decision I touch my hair. I'm sure it helps me.

❖ If you could gain a superpower, what would you choose?

👉 I would like to have an ability to stop time, which I never have enough of!

❖ The favorite childhood toy?

👉 A doll, exactly my size which I carried everywhere I went.

❖ Do you have a nickname, who gave it to you and why?

👉 The history of my name is related to my grandparents. My full name is Gulnara, like my beloved grandmother, who was unusually strong person and I'm really proud to carry her name. However my grandfather gave me a pet name "Guchi" and since then everybody calls me that name.

❖ Which TV-show do you like?

👉 I love TV-show that give me new knowledge. On one of the channels' there is a show called "How it's Made", from which I've learned lots of new stuff.

❖ Do you have a role-model, an idol?

👉 My idol is actress Meryl Streep, as for the role-model – any person who tries to make positive changes in his life, never is satisfied by gained and is always ready for life challenges.

❖ What talent do you have?

👉 I have great presentation and explanatory skills, that must be the reason why I always wanted to become a teacher, a strict one.

❖ What do you fear and why?

👉 Ants and creepy-crawlies. If I accidentally see any of them I get a feeling that they are all over me.

❖ Whose advice do you take into account and why?

👉 My father's. He is more than a father to me. He is my friend and the smartest person I've ever known.

❖ Where and when do you like to relax?

👉 Racha is my passion. There me and my husband fell in love with each other. It is the only place where I can simultaneously rest physically, mentally and spiritually.

❖ The favorite quote, motto?

👉 „Nothing is impossible, the word itself says 'I'm Possible'“

❖ ვნითი, რომლის გარეშეც არ შეგიძლიათ ცხოვრება?

👉 მობილური ტელეფონი, ჩანანერების წიგნაკი, ჩემი საყვარელი ტუჩსაცხი - Avon Ultra Color.

❖ რა უშლის ქალს ხელს წარმატების მიღწევაში?

👉 თუ წარმატების მიღწევის სურვილი გამოძრავებს ხელს ვერაფერი შეგიშლის, ნებისმიერი დაბრკოლება მორიგ გამოწვევად უნდა აღიქვას, რის შედეგადაც დიდ გამოცდილებას იძენ.

❖ რა უცნაური თვისება გახასიათებთ?

👉 როდესაც რთული გადაწყვეტილების მიღება მინევს, ფიქრის დროს თმაზე ვიკიდებ ხელს, დარწმუნებული ვარ, რომ მეხმარება.

❖ ზებუნებრივი ნიჭის არჩევის შანსი რომ ქონდეთ, რას აირჩევდით?

👉 ავირჩევდი უნარს, შევაჩერო დრო, რომელიც არასოდეს მყოფნის.

❖ ბავშვობის საყვარელი სათამაშო?

👉 ჩემი სიმბალის თოჯინა, რომელსაც ყველგან თან დავატარებდი, არადა ძალიან მძიმე იყო.

❖ ზედმეტი სახელი თუ გაქვთ, ვინ შეგარქვათ და რატომ?

👉 ჩემი სახელის ისტორია ბებიას და ბაბუს უკავშირდება. ჩემი სრული სახელია გულნარა, საყვარელი ბებუის სახელი, რომელიც ძალიან ძლიერი პიროვნება იყო და უზომოდ მემამაცება მისი სახელის ტარება, თუმცა გუჩი ბაბუაჩემმა შემარქვა მოფერებით და დღემდე ყველა ამ სახელით მიცნობს.

❖ რომელი გადაცემა გიყვართ?

👉 გადაცემები სადაც რაიმე ახალს ვიგებ. ერთ-ერთ შემცნებით არხზე არის ასეთი გადაცემა - How it's made, სადაც უამრავ ახალს ვიგებ, რაც აქამდე არ ვიცოდი.

❖ მისაბაძი მაგალითი, კუმირი?

👉 კუმირი - მსახიობი მერილ სტრიპი; მისაბაძი მაგალითი - ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში რაიმეს შეცვლას ცდილობს უკეთესობისკენ, არასოდეს არ კმაყოფილდება მიღწეულით და მუდამ მზად არის ახალი გამოწვევებისათვის.

❖ რისი ნიჭით გამოირჩევით?

👉 მაქვს კარგი ახსნის და გადმოცემის უნარი, ალბათ, სწორედ ამიტომაც მინდოდა ბავშვობაში, მასწავლებელი ვყოფილიყავი, თანაც მკაცრი.

❖ რისი გვმინიათ და რატომ?

👉 ჭიანჭველების და ერთად ბევრი პატარა არსებების, თუ შემთხვევით დავინახე სადმე, მგონია რომ ყველა ერთად მე შემეცოცდა.

❖ ვის რჩევას ითვალისწინებთ და რატომ?

👉 მამაჩემის რჩევას, ის ჩემი მეგობარი და ჩემთვის ყველაზე ჭკვიანი ადამიანია.

❖ სად და როდის გიყვართ დასვენება?

👉 რაჭა ჩემი სიყვარულია, იქ შეგვიყვარა მე და ჩემი მეუღლეს ერთმანეთი. ერთადერთი ადგილია, სადაც სულიერად, ფიზიკურად და გონებრივად ერთდროულად ვისვენებ.

❖ საყვარელი ფრაზა, დევიზი?

👉 „Nothing is impossible, the word itself says 'I'm Possible.'“

Rusudan Kbilashvili

რუსუდან კბილაშვილი

Wissol Group
Manager of the Public Relations and
Social Responsibility

ვისოლ ჯგუფი
საზოგადოებასთან ურთიერთობისა
და კორპორაციული სოციალური
პასუხისმგებლობის მენეჯერი

❖ Three items you cannot live without?

👉 A necklace with a cross, a mobile phone, a watch

❖ What prevents a woman from being successful?

👉 There are no obstacles for a woman who has corresponding knowledge, skills, belief and luck for gaining success.

❖ What is your unique characteristic?

👉 I can find a way out of the most complicated and unusual situations.

❖ If you could gain a superpower, what would you choose?

👉 Your question reminds me of a free topic written in school – “If I were a bird”. I would fly, if I could!

❖ The hardest decision made for the last five years?

👉 The hardest was to choose my PhD topic. I've made up my mind to research one of the narrow fields of Corporate Social Responsibility (CSR), Public-private Partnership (PPP) forms and the role in the sustainable development of the country.

❖ The favorite childhood toy?

👉 A doll, which was exactly my size.

❖ Do you have a nick name, who gave it to you and why?

👉 They call me “blissful”. My ex-colleague and a friend gave it to me and I guess because I always try to stay positive, find it in everything and not get worried about stuff that can be handled. If it is impossible to handle, you still won't be able to do any good by worrying.

❖ Which TV-show do you like?

👉 A cooking program MasterChef

❖ Do you have a role-model, an idol?

👉 It's hard to name one specific person.

❖ What talent do you have?

👉 I sing

❖ What do you fear and why?

👉 Natural disasters and incurable diseases, because it is hard to find solution and in most cases it is even impossible.

❖ Recall please, has anyone ever dedicated a poem or a song to you?

👉 Yes.

❖ Whose advice do you take into account and why?

👉 Family members', because they know me the best.

❖ Where and when do you like to relax?

👉 I love relaxing during sumertime and as swimming is the most pleasant form of relaxation, I love resorts with transparent, blue water and interesting aquatic environment.

❖ The favorite quote, motto?

👉 „Everything is going to be all right“

❖ ვნითი, რომლის გარეშეც არ შეგიძლიათ ცხოვრება?

👉 ყველაბამი ჯვრით, ტელეფონი, საათი.

❖ რა უშლის ქალს ხელს წარმატების მიღწევაში?

👉 არავითარი დაბრკოლება არ არსებობს ქალისათვის, ვისაც შესაბამისი ცოდნა, უნარი, რწმენა და იღბალი აქვს.

❖ რა უცნაური თვისება გახასიათებთ?

👉 ყველაზე რთული და უცნაური სიტუაციიდანაც ვპოულობ გამოსავალს.

❖ რომ გჭონდეთ შანსი, რომ ზებუნებრივი ნიჭი შეიძინოთ, რის უნარს აირჩევდით?

👉 სკოლაში დაწერილი თავისუფალი თემის - „მე რომ ჩიტი ვიყო“ - შინაარსი გამახსენდა; რომ შემეძლოს, ვიფრენდი!

❖ ყველაზე რთულად მიღებული გადაწყვეტილება ბოლო 5 წლის განმავლობაში?

👉 ყველაზე რთული სადოქტორო თემის არჩევა იყო. გადაწყვეტიც, ვიკვლიო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ერთ-ერთ ვიწრო მიმართულება, სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის (PPP) ფორმები და როლი ქვეყნის მდგრადი განვითარების საქმეში.

❖ ბავშვობის საყვარელი სათამაშო?

👉 თოჯინა, რომელიც ზუსტად ჩემი სიმაღლის იყო.

❖ ზედმეტი სახელი თუ გაქვთ, ვინ შეგარქვათ და რატომ?

👉 „ნეტარს“ მეძახიან. ჩემმა ყოფილმა კოლეგამ და მეგობარმა შემარქვა, ალბათ, იმიტომ, რომ ყოველთვის ვცდილობ, პოზიტიური ვიყო, ყველაფერში შევძლო დადებითის პოვნა და არ ვინერვიულო არაფერზე, რაც მოგვარებადია, და თუ არაა მოგვარებადი, ნერვიულობით ხომ მაინც ვერაფერს ვუშველი.

❖ რომელი გადაცემა გიყვართ?

👉 კულინარული გადაცემა -MasterChef.

❖ მისაბადი მაგალითი, კუმირი?

👉 მიჭირს მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის დასახელება.

❖ რისი ნიჭით გამოირჩევით?

👉 ვმღერი.

❖ რისი გემინიათ და რატომ?

👉 სტიქიების და განუკურნებელი დაავადებების მეშინია, იმიტომ, რომ გამოსავლის პოვნა რთულია და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი.

❖ ლექსი ან სიმღერა თუ მოუძღვნიათ თქვენთვის, გაიხსენეთ?

👉 დიას.

❖ ვის რჩევას ითვალისწინებთ და რატომ?

👉 ოჯახის წევრების რჩევას ვითვალისწინებ, რადგან ყველაზე უკეთ მიცნობენ.

❖ სად და როდის გიყვართ დასვენება?

👉 ზაფხულში დასვენება მიყვარს და რადგან ცურვა ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო დასვენების ფორმაა, მიყვარს კურორტები, სადაც კამკამა, ლურჯი წყალია და საინტერესო წყალქვეშა სამყარო.

❖ საყვარელი ფრაზა, დევიზი?

👉 „ყველაფერი კარგად იქნება“.



Mzia Sharashidze

მზია შარაშიძე

Tbilisi ZOO
Media & PR Specialist

თბილისის ზოოპარკი
მედიასთან და საზოგადოებასთან
ურთიერთობის სპეციალისტი

❖ Three items you cannot live without?

👉 A mobile phone, a photo camera and an external hard drive on which I keep thousands of photos shot by me.

❖ What prevents a woman from being successful?

👉 Laziness, lack of enthusiasm, dedication and self-confidence. And not only women...

❖ What is your unique characteristic?

👉 I fold my items in a wardrobe with pinpoint accuracy and I become very nervous if this order is messed up.

❖ If you could gain a superpower, what would you choose?

👉 I would happily be awake all the time and would not waste precious time on sleep.

❖ The hardest decision made for the last five years?

👉 For the last five years I've made lots of decisions which caused radical changes in my life, or vice-versa, avoided radical changes. None of them were easy to make.

❖ The favorite childhood toy?

👉 Very funny, ugly, bearded and humpback wooden man which my brother carved for my small cradle found somewhere.

❖ Do you have a nickname, who gave it to you and why?

👉 "Luka", my radio and TV pseudonym which I took myself in 1999 inspired by the song "Luka" by Susan Vega. Since then this name has become integral part of my life

❖ Which TV-show do you like?

👉 I love historical and educational programs: Discovery, History, Animal Planet, National Geographic.

❖ Do you have a role-model, an idol?

👉 You can find specific role-characteristic in any person. As for an idol, I have never had one.

❖ What talent do you have?

👉 I confess that I'm a very talented person, I was successful in anything I took up.

❖ What do you fear and why?

👉 Since the childhood I fear the war. Well, it is understandable why...

❖ Recall please, has anyone ever dedicated a poem or a song to you?

👉 There were poems, songs, paintings, stories... lots of stuff.

❖ Whose advice do you take into account and why?

👉 I always take into account all reasonable, healthy and logical advices.

❖ Where and when do you like to relax?

👉 I choose far and exotic countries for travel. Sometimes I sleep in a tent, surrounded by lions, sometimes I conquer Himalayas, sometimes visit drowned ships underwater and sometimes wonder through the desert mounted on a camel.

❖ The favorite quote, motto?

👉 I tried many times, but unfortunately I was not able to remember any quote or a saying.

❖ ვინეთი, რომლის გარეშეც არ შეგიძლიათ ცხოვრება?

👉 მობილური ტელეფონი, ფოტოაპარატი და გარე „ვინჩესტერი“, რომელშიც ჩემ მიერ გადაღებული ათასობით ფოტოა დაარქივებული.

❖ რა უშლის ქალს ხელს წარმატების მიღწევაში?

👉 სიზარმაცე, ენთუზიაზმის, მონდომების არქონა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა. და არა მხოლოდ ქალს...

❖ რა უცნაური თვისება გახასიათებთ?

👉 იუველირული სიზუსტით ვკეცავ თითოეულ ნივთს კარადაში და საოცრად ვშფოთავ, თუ ეს წესრიგი ირღვევა.

❖ შეგუწებრივი ნიჭის არჩევის საშუალება რომ გქონდეთ, რას აირჩევდით?

👉 სიამოვნებით ვიფიხილებდი მუდამ და ძილში არ დავკარგავდი ძვირფას დროს.

❖ ყველაზე რთულად მიღებული გადაწყვეტილება ბოლო 5 წლის განმავლობაში?

👉 ბოლო 5 წლის განმავლობაში ბევრი ისეთი გადაწყვეტილება მივიღე, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება, ან პირიქით, სწორედ რადიკალური ცვლილებები ამაცილა თავიდან. არცერთი იყო მარტივი.

❖ ბავშვობის საყვარელი სათამაშო?

👉 ძალიან სასაცილო, უშნო, წვერიანი და კუბიანი ხის კაცუნა, რომელიც ჩემმა ძმამ საძლავ ნაპოვნი პანანინა აკვინსთვის გამომიტალა.

❖ შედმეტი სახელი თუ გაქვთ, ვინ შეგარქვათ და რატომ?

👉 „ლუკა“ - ჩემი რადიო და ტელეფესვდონიმი, 1999 წელს თავად მოვიგონე Susan Vega-ს სიმღერით - Luka შთაგონებულმა. მას შემდეგ ეს სახელი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

❖ რომელი გადაცემა გიყვართ?

👉 მიყვარს ისტორიული და შემეცნებითი გადაცემები არხებზე: Discovery, History, Animal Planet, National Geographic.

❖ მისაბაძი მაგალითი, კუმირი?

👉 მისაბაძი თვისების პოვნა ნებისმიერ ადამიანშია შესაძლებელი. განსაკუთრებული კუმირი არასოდეს მყოლია.

❖ რისი ნიჭით გამოირჩევით?

👉 ვაღიარებ, რომ ძალიან ნიჭიერი ადამიანი ვარ. ყოველთვის ყველაფერი გამომდიოდა, რასაც ხელს ვკიდებდი.

❖ რისი გეშინიათ და რატომ?

👉 ბავშვობიდან პანიკურად მეშინია ომის. ალბათ გასაგებია, რატომაც...

❖ ლექსი ან სიმღერა თუ მოუძღვნიათ თქვენთვის, გაიხსენეთ?

👉 ლექსებიც იყო, სიმღერებიც, ნახატებიც, მოთხრობებიც... ბევრი რამ იყო.

❖ ვის რჩევას ითვალისწინებთ და რატომ?

👉 ყოველთვის ვითვალისწინებ ყველა გონივრულ, საღ და ლოგიკურ რჩევას.

❖ საღ და როდის გიყვართ დასვენება?

👉 სამოგზაუროდ ეგზოტიკურ, შორეულ ქვეყნებს ვირჩევ. ხან კარავში მძინავს ლომებით გარშემორტყმულს, ხან პიმალაებს ვლაშქრავ, ხან ჩაძირულ გემებს ვათვალიერებ წყალქვეშ და ხანაც უდაბნოს ვიპყრობ აქლემზე ამხედრებულა.

❖ საყვარელი ფრაზა, დევიზი?

👉 ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ვერასოდეს, ვერაფრით დავიმახსოვრე ვერცერთი ფრთიანი ფრაზა და გამონათქვამი.

Tamuna Kvilitaia
თამუნა ქვილითაია

Europe-bet
Manager of the Public
Relations and Marketing
Communications

ევროპბეთი
საზოგადოებასთან ურთიერთობისა
და მარკეტინგული კომუნიკაციების
დეპარტამენტის უფროსი

❖ Three items you cannot live without?

👉 A mobile phone, watch and sunglasses

❖ What prevents a woman from being successful?

👉 It's hard to distinguish any specific reason. If a person, and not only a woman is goal-oriented, hard-working and a professional success comes naturally. Speaking about any other obstacles, in my opinion is just excuses.

❖ What is your unique characteristic?

👉 I'm a very organized person, you may even say a pedant. I can't stand a chaos on the desk and I even make comments to my employees. Besides I remember numbers very well, phone numbers and car plates, also faces. Sometimes it is even irritating.

❖ If you could gain a superpower, what would you choose?

👉 I would happily read other people's minds!

❖ The hardest decision made for the last five years?

👉 I don't like making spontaneous decisions. Generally I have to weigh all pros and cons prior to making a decision. However I can't be more specific.

❖ The favorite childhood toy?

👉 I recall having several collection dolls with natural hair, beautiful dresses and moving limbs, which were a luxury in that time. As it was impossible to purchase them in Georgia I was quite popular among other girls. As a matter of fact I still have some of them.

❖ Do you have a nickname, who gave it to you and why?

👉 No I don't have one specific nickname, generally I'm addressed by different variations of my name.

❖ Which TV-show do you like?

👉 I love TV-show "What?Where?When?" since childhood. It's the third year in a row Europe-bet is a general sponsor of the elite intellect club. We've implemented many mutual projects together. I attend all shows, even have many friends in a club and therefore it became a native place for me and today this project became even more favorite for me.

❖ Do you have a role-model, an idol?

👉 I do not have one. I don't consider it reasonable to idolize or resemble anyone. It's important to be able to observe your faults and values of others, to be able to adequately assess all this, process in your mind and aspire for the better. I'm surrounded by lots of people who daily inspire me for personal growth, advancement and becoming a better person, both professionally and personally.

❖ What talent do you have?

👉 Generally I'm seldom mistaken in reading and assessing people.

❖ What do you fear and why?

I fear stupid people, because generally they do not consider consequences of their actions and inactivity.

❖ Recall please, has anyone ever dedicated a poem or a son to you?

👉 Considering being a generation of 90-ies dedications of songs and poems was natural. I think I might have some of them preserved, but I can't recall any specific ones.

❖ Whose advice do you take into account and why?

👉 My closest people: parents, husband and several close friends who know me the best and will always give me useful advice.

❖ Where and when do you like to relax?

👉 I'm always ready to relax at a place with sun, sea and sunny weather.

❖ The favorite quote, motto?

👉 „Everything is going to be all right“

❖ ვნივთი, რომლის გარეშეც არ შეგიძლიათ ცხოვრება?

👉 მობილური ტელეფონი, საათი და სათვალე.

❖ რა უშლის ქალს ხელს წარმატების მიღწევაში?

👉 ძალიან რთულია, ალბათ ვერ გამოვყოფ რამეს კონკრეტულად. თუ ადამიანი (და აქ მხოლოდ ქალზე არ არის საუბარი), ხარ მიზანდასახული, შრომისმოყვარე და შენი საქმის პროფესიონალი, წარმატებაც თავისთავად მოდის. ნებისმიერი სხვა ხელისშემშლელი ფაქტორის ძებნა ვთვლი, რომ უბრალოდ თავისმართლებაა.

❖ რა უცნაური თვისება გახასიათებთ?

👉 ზედმეტად მოწესრიგებული და, შეიძლება ითქვას, პედანტი ვარ, ვერ ვიტან ქალის სამუშაო მაგიდაზე და ამასთან დაკავშირებით ხშირად თანამშრომლებსაც ვანუხებ ხოლმე, გარდა ამისა, საოცრად ვიმახსოვრებ ციფრებს, ტელეფონის და მანქანის ნომრებს, სახეებს, რაც ხშირად დისკომპორტის მომტანიცაა.

❖ ზებუნებრივი ნიჭის არჩევის საშუალება რომ გქონდეთ, რას აირჩევდით?

👉 სიამოვნებით წავიკითხავდი სხვის აზრებს, საჭიროებისამებრ.

❖ ყველაზე რთულად მიღებული გადაწყვეტილება ბოლო 5 წლის განმავლობაში?

👉 არ მიყვარს ნაჩქარევი და სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, უნდა დაფიქტრდე და კარგად ავზონ-დავზნოთ თანმდევი პლიუს-მინუსები, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გამოვყოფ რამეს უფრო კონკრეტულად.

❖ ბავშვობის საყვარელი სათამაშო?

👉 მახსოვს, მყავდა რამდენიმე საკოლექციო თოჯინა, რაც ძალიან დიდი ფუფუნება იყო ჩემს ბავშვობაში, ბუნებრივი თმები, ძალიან ლამაზი კაბებით... შეეძლოთთ კიდურების მოხვრაც. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში მსგავსის ყიდვა შეუძლებელი იყო, ძალიან დიდი პოპულარობით ვსარგებლობდი ჩემს თანატოლ გოგონებში. სხვათაშორის, რამდენიმე დღემდე მაქვს შენახული.

❖ ზედმეტი სახელი თუ გაქვთ, ვინ შეგარქვიათ და რატომ?

👉 არა, ერთი გავრცელებული ზედმეტსახელი არ მაქვს, ძირითადად ჩემი სახელის ინტერპრეტაცია ხდება ხოლმე.

❖ რომელი გადაცემა გიყვართ?

👉 ბავშვობიდან მიყვარს გადაცემა „რა? სად? როდის?“, ჭერ კიდევ რუსული სატელევიზიო პროექტიდან მოყოლებული. უკვე მესამე წელია, რაც „ევროპაბეთი“ ელიტარული ინტელექტულების გენერალური სპონსორია, არაერთი პროექტი გვაქვს განხორციელებული ერთობლივად. ვესწრები ყველა გადაცემის ჩაწერას, მყავს ძალიან ბევრი მეგობარი კლუბში, შესაბამისად, ძალიან მშობლიური და განსაკუთრებით საყვარელი გახდა ეს პროექტი ჩემთვის.

❖ მისაბაძი მაგალითი, კუმირი?

👉 არ მყავს. არ ვთვლი სწორად ვინმეს გაფიქტივებას, გაკუმირებას ან მიბაძვას. ყველაზე მნიშვნელოვანია, შეგქვდეს საკუთარი ნაკლოვანებების და სხვისი ღირსებების დანახვა, ამ ყველაფრის ადეკვატურად შეფასება, გაანალიზება და ადეკვატური სწრაფვა. ჩემ გარშემო ძალიან ბევრი ადამიანია, რომელიც ყოველდღიურად მაძლევს სტიმულს, გაგიზარდო, წავიდე წინ და გავხდე უკეთესი, როგორც კარიერული თვალსაზრისით, ისე პიროვნულად.

❖ რისი ნიჭით გამოირჩევით?

👉 როგორც წესი ძალიან იშვიათად ვცდები ადამიანების ამოცნობასა და შეფასებაში.

❖ რისი გეშინიათ და რატომ?

👉 მეშინია უჭკუო ადამიანების, როგორც წესი, ისინი არ ფიქრობენ, რა შედეგი შეიძლება მოყვას მათ ქმედებას ან უმოქმედობას.

❖ ლექსი ან სიმღერა თუ მოუძღვინიათ თქვენთვის, გაიხსენეთ?

👉 თუ გავითვალისწინებთ, რომ 90-იანი წლების თაობა ვარ, ძალიან ხშირი იყო სიმღერების ან ლექსების მიძღვნა, სავარაუდოდ, უნდა მქონდეს შენახული რამდენიმე.

❖ ვის რჩევას ითვალისწინებთ და რატომ?

ჩემი საყვარელი ადამიანების: მშობლების, მეუღლის და რამდენიმე ძალიან ახლო მეგობრის, ისინი ყველაზე კარგად მიცნობენ და ზუსტად ვიცი, რომ ყოველთვის სწორ რჩევას მომცემენ.

❖ სად და როდის გიყვართ დასვენება?

👉 ყოველთვის მზად ვარ, დავისვენო იქ, სადაც მზე, ზღვა და კარგი ამინდია.

❖ საყვარელი ფრაზა, დევიზი?

👉 ყველაფერი კარგად იქნება.

For him



01 FRANCESCO MAGLIA
www.mrporter.com
245.0 USD

**Gift Ideas
For him**



03 PAUL SMITH | BOW TIE
www.mrporter.com
85.0 USD

02 PAUL SMITH | CUFFLINKS
www.mrporter.com
120.0 USD



04 MIANSAI | BRACELET
www.mrporter.com
65.0 USD




05 DR HARRIS
www.mrporter.com
295.0 USD



06 FOUNDWELL | FLASK
www.mrporter.com
3733.0 USD





07 TASCHEN | THE JAMES BOND ARCHIVES
www.mrporter.com
190.0 USD

08 J. CREW | TIE
www.mrporter.com
65.0 USD



10 ALEXANDER MCQUEEN LOAFERS
www.mrporter.com
400.0 USD



11 ANDERSON'S | BELT
www.mrporter.com
68.0 USD



09 BURBERRY | SHIRT
www.mrporter.com
125.0 USD



12 HERSCHEL SUPPLY CO | BACKPACK
www.shop.nordstrom.com
120.0 USD

THE MOST PROFITABLE WRITERS OF 2013

წლის ყველაზე შემოსავლიანი მწერლები

One of the harshest non-political frictions of the modern world is between art and commerce. Nowadays you will often hear that real, valuable art was replaced by commercially profitable projects, that true artisan became a marginal and an outsider, and those who understand world's demand well offers humanity surrogate, "mainstream" art. The subjects of separate discussion are criteria of the true art. Should this combination of words be used at all? Beyond the needs of Malsow's Hierarchy of Needs people have always needed something, that would make them forget existing reality for at least small time and would offer him parallel, fictionally modified reality. This was the way of life in pre-historic era, when human used to draw on walls and caverns or was orally transferring legends and now, in modern technological era, when "idler" artisans offer us modern Homo Sapiens "Spiritual food". In the article we would like to overview best-sellers of 2013 – fictional texts, which broke records and "sold" fictional, unreal, fictitious reality to the world.

თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური არაპოლიტიკური დაპირისპირება ხელოვნებასა და კომერციას შორის არის. დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ ნამდვილი, ღირებული, ხელოვნება კომერციულად კარგად გათვლილმა პროექტებმა ჩაანაცვლა, რომ ჭეშმარიტი ხელოვანი - მარგინალად და აუტსაიდერად იქცა, ის კი, ვისაც კარგად ესმის თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნები და მიდრეკილებები, სუროგატულ, „მეინსტრიმ“ ხელოვნებას სთავაზობს მომხმარებელ კაცობრიობას. ცალკე საკითხი და მსჭვლობის საგანია ჭეშმარიტი ხელოვნების კრიტიკრიუმები. საერთოდ, უნდა იარსებოს თუ არა ამ სიტყვათშეთანხმებამ - ესეც, ადამიანს მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდაში განწერილი მოთხოვნილებების მიღმა კი ყოველთვის, ყველა დროში სჭირდებოდა რაღაც, რაც ცოტა ხნით მაინც დაავიწყებდა არსებულ რეალობას და პარალელურ, მხატვრულად მოდიფიცირებულ რეალობას შესთავაზებდა. ასე იყო პრეისტორიულ ხანაშიც, როცა ადამიანი კლდეებზე და მღვიმეებში კანკავდა და ხატავდა ან გეპირად გადასცემდა თქმულებებს და ახლაც, თანამედროვე ტექნოლოგიურ საუკუნეში, როცა „მოცლილი“ ხელოვანი ადამიანები გთავაზობენ „სულიერ“ საზრდოს თანამედროვე ჰომოსაპიენსს. სტატიაში კი 2013 წლის ბესტსელფერები გვინდა მიმოვიხილოთ - მხატვრული ტექსტები, რომლებმაც გაყიდვების რეკორდი მოხსნეს და მსოფლიოს მხატვრული, ირეალური, გამოგონილი სინამდვილე „შეასაღეს“.



01

The shade of the twilight

ბინდის ჩრდილი



Before naming the winner and the author, we would like to tell you how much it profited since the day of publishing till now. The number itself is quite impressive, but this way it should be even more effective – more than Joan Rowling, Stephen King and Dan Brown, in total. If you demand numbers than here you go – by the roughest calculation more than 95 million dollars. “50 Shades of Grey” by Erika Leonard James (real name of the author is Erika Mitchell) is the Fan fiction (Fan fiction is one of the genres of mass literature, which is created by fans on the basis of fictional piece. They do not follow commercial interests and only write for fans. An author of the Fan fiction generally base on original literature or movie piece – uses their ideas, plot and characters). based on the “Twilight” by Stephanie Meyer. James was publishing scraps of her novel on the web-site for the fans (her main characters were Edward Cullen and Bella Swan of Stephanie Meyer). Gradually very interesting and unusual situation unfolded: short stories of James were united under one novel and transformed into unique piece with its own characters. Finally scraps disappeared from the internet. Instead of them the “50 Shades of Grey” was published. The book tells us about relationship between a student girl and a businessman. You’d better find out about the details of the plot in original. The book is not translated into Georgian yet, however it is not hard to find an original copy on the internet. It is noteworthy that James’s novel is the first text, to sell more than million digital copies on the Amazon Kindle. According to the statistical data, the main readers of the book are married women over thirty and the second largest group was teenage girls. Huge internet sales were explained by the administration of the amazon.co.uk by the shyness of ladies to buy erotic book at bookstores and reading in digital format appeared most convenient for them. You must be interested in the reaction of Stephanie Meyer. Shake off the expectation of scandal – Meyer received indescribable success of the record-breaking rival with a great peace and said she was happy if anyone was able to do the job better. However the author of the “Twilight” has nothing to whine about. Her book was received with huge success in 2005 and sales ensured her carefree future for the rest of her life...




პირველ ადგილზე გასული ავტორის სახელის, გვარის და წიგნის დასახელების გაცნობამდე იმას გაცნობებთ, თუ რამდენი გამოიმუშავა ადამიანმა წიგნის გამოცემიდან დღემდე. თანხა ციფრებშიც შთამბეჭდავია, მაგრამ ასე უფრო მეტად ეფექტური უნდა იყოს - ჯოან როულინგზე, სტივენ კინგზე და დენ ბრაუნზე მეტი, თანაც ერთად შეკრებილი. მაინცდამაინც ციფრებად თუ გნებავთ - ყველაზე უხეში გათვლებით 95 მილიონ დოლარზე მეტი. ერიკა ლეონარდ ჯეიმის „ნაცრისფერის 50 ჩრდილი“ (ავტორის ნამდვილი სახელი ერიკა მიტჩელია) სტეფანი მეიერის „ბინდის“ საფუძველზე შექმნილი Fan fiction-ია (Fan fiction მასობრივი ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრია, რომელსაც მხატვრული ნაწარმოების მოტივებზე თავყვანისმცემლები ქმნიან. მათ კომერციული მოტივები არ ამოძრავებთ, უბრალოდ ფანებისთვის წერენ. Fan fiction ავტორი როგორც წესი, ორიგინალურ ლიტერატურულ ან კინემატოგრაფიულ ნაწარმოებს ეყრდნობა - მის იდეას, სიუჟეტსა და პერსონაჟებს იყენებს). ჯეიმსი თავისი რომანის ნაწყვეტებს თავყვანისმცემლებისთვის განკუთვნილ ვებგვერდზე აქვეყნებდა (მთავარი გმირები სტეფანი მაიერის ელუარდ კალენი და ბელა სვონი იყვნენ). დროთა განმავლობაში კი საინტერესო და უჩვეულო პროცესი წარიმართა: ჯეიმსის ამბები ერთ რომანში გაერთიანდა და ორიგინალურ ნაწარმოებად იქცა თავისი საკუთარი გმირებით. საბოლოოდ ნაწყვეტები ინტერნეტსივრციდან გაქრა. მის მაგივრად კი ნაცრისფერის „ორმოცდაათი ჩრდილი“ გამოიყვა. წიგნი სტუდენტი გოგონას და ბიზნესმენის ურთიერთობებზე მოგვითხრობს. სიუჟეტურ დეტალებს, უმჯობესია, ორიგინალიდან გავცნოთ. ქართულად წიგნი ჯერ არ არის ნათარგმნი, თუმცა ინტერნეტში მისი მოძიება სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენს. საინტერესოა, რომ ჯეიმსის რომანი პირველი ტექსტია, რომლის მილიონზე მეტი ელექტრონული ვერსია გაიყიდა Amazon Kindle-ზე. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, წიგნს ძირითადად ოცდაათ წელს გადაცილებული, გათხოვილი ქალბატონები ყიდულობდნენ, აუდიტორიის მეორე ნაწილი კი მოზარდმა გოგონებმა შეავსეს. ინტერნეტ გაყიდვების სიმრავლე amazon.co.uk ადმინისტრაციამ იმით ახსნა, რომ ქალბატონებს ერიდებოდათ ეროტიკული წიგნის მაღაზიებში შექენა, ელექტრონულ ფორმატში კითხვა კი მათთვის გაცილებით მოსახერხებელი აღმოჩნდა. გაინტერესებთ, ალბათ, სტეფან მეიერის რეაქციაც. ინტრიგას და სკანდალს ნუ ელით - მეიერი მშვიდად შეხვდა რეკორდსმენი მეტოქის ენით აღწერულ წარმატებას და თქვა, რომ მოხარულია, თუ სხვას უკეთ გამოუვიდა საქმე. თუმცა, „ბინდის“ ავტორს საწუწნოვ არაფერი აქვს. მისი წიგნი 2005 წელს არნახული წარმატებით გაიყიდა და სამუდამოდ უზრუნველყო შემქმნელის მომავალი...

Every seventeenth purchase is Patterson.

ყოველი მეჩვიდმეტე შენაძენი - პატერსონია

02



American James Patterson, who is the author of novels written about the psychologist Alex Cross, is among the three highest-paid authors of the Forbes for the three years in a row. The novel profited Patterson 94 million dollars, which is 10 millions more than the income of the previous year. Patterson has published 11 books until now. If you would like demonstration of Patterson's popularity without raw numbers, I will tell you that every seventeenth hard-cover book, sold on the territory of the United States, is penned by this author. As for the Alex Cross – he is one of the most recognized fictional characters of the last two decades. Somewhat like Sherlock in good old times. Sherlock Holmes.

ამერიკელი ჯეიმს პატერსონი, რომელიც ფსიქოლოგ ალექს კროსზე დაწერილი რომანების ავტორია, მესამე წელია, ჟურნალ Forbes-ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწერლების რეიტინგის ლიდერთა სამეულშია. რომანებმა პატერსონს 94 მლნ დოლარი მოუტანა, რაც წინა წელთან შედარებით 10 მილიონით მეტია. ამ პერიოდისთვის პატერსონმა 11 წიგნი გამოუშვა. თუ გნებავთ მშრალი ციფრების გარეშე გაისივრდებოდით პატერსონის პოპულარობა, უბრალოდ გეტყვით, რომ ყოველი მეჩვიდმეტე წიგნი მაგარი ყდით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე იყიდება, პატერსონის კალამს ეკუთვნის. ალექს კროსი კი ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ლიტერატურული პერსონაჟია. დაახლოებით ისე, როგორც ძველ, კარგ დროს შერლოკი იყო, შერლოკ ჰოლმსი.

03

Suzanne Collins

სიუზენ კოლინზი



The author of the “Hunger Games” penetrated the “Premier League” of writers after the screen version of her book was premiered. The book is about post-apocalyptic world. The city Panem where the plot unfolds, created by the author, is divided into twelve districts. In order to strengthen its reign over districts, ruling Capitolium holds annual Hunger Games and one boy and one girl are selected from each district. The survivor is the winner... The movie grossed more than 690 million dollars and transformed the screenwriter of average kids’ shows and animated movies into an author leveling with Joan Rowling and Stephanie Meyer. Her income in 2013 was 55 million dollars. The first two books of the trilogy are already available for the Georgian reader. “The Hunger Games 1” and “The Hunger Games 2 – Catching Fire” are translated into Georgian and are quite popular.


„შიმშილის თამაშების“ ავტორი მწერალთა „უმაღლეს ლიგაში“ ტრილოგიის პირველი ნაწილის ეკრანიზაციის შემდეგ შეიჭრა. წიგნი პოსტაპოკალიფსურ სამყაროზეა. ავტორის მიერ გამოგონილი ქალაქი პანემი, სადაც მოქმედება ვითარდება, თორმეტ რაიონად არის. რაიონებზე ძალაუფლების განსამტკიცებლად მმართველი კაპიტოლიუმი ყოველწლიურ შიმშილის თამაშებს მართავს, თითოეული რაიონიდან ერთ გოგონას და ერთ ვაჟს ირჩევენ. ცოცხლად გადარჩენილი მონაწილე გამარჯვებულად ითვლება... ფილმმა 690 მილიონ დოლარზე მეტი მოაგროვა და მანამდე მოკრძალებული საბავშვო ტელეგადაცემებისა და ანიმაციური ფილმებისთვის სცენარისტი ქალი ჯონ როულინგის და სტეფან მეიერის რანგის ავტორად აქცია. მისი 2013 წლის პირადი შემოსავალი 55 მილიონი დოლარია. ქართველი მკითხველისთვის ტრილოგიის პირველი ორი წიგნი უკვე ხელმისაწვდომია. „შიმშილის თამაშები - 1“ და „შიმშილის თამაშები - 2 ანუ ცეცხლის ალში“ ქართულ ენაზე ნათარგმნია და საკმაო წარმატებითაც იყიდება.

The host of the Fox News political program, Bill O'Reilly, is quite successful in his profession. Well he is a successful man generally. Sometimes it unfolds in this way – when a gifted and successful person takes up something, everything turns out successfully. This man is among those chosen ones, who have purchased land on the Moon. Nobody has a clue what for he needs or how he will use it. He states that he has no time to visit his estate, otherwise he would gladly visit them once. Either way, when he decided to write the book, he selected topics, which definitely should have been profitable. Titles of the first two books are: “Killing Lincoln” and “Killing Kennedy”. Both books topped the bestsellers’ ratings as soon as they were published and grossed 28 million income for the author. According to rumors, O'Reilly is working on the third scandalous book. Taking into account previous two, it's not hard to predict the future of the third one. At this time O'Reilly got interested by the Jesus and is going to present his version of “Killing Jesus”.

Millions for fictioning the murders

მილიონები მკვლელობების გამხატვრულებისთვის





Fox News-ის პოლიტიკური გადაცემის წამყვანი, ბილ ორელი, თავის პროფესიულ საქმიანობაში წარმატებული ადამიანია. საერთოდაც, წარმატებული ადამიანია. ასეც ხდება ზოგჯერ – რასაც მოკიდებს ხელს ნიჭიერი და წარმატებული ადამიანი, ყველაფერი გამოსდის. ეს კაცია, ყველა სიკეთესთან ერთად, ერთ-ერთია იმ რჩეულთაგან, ვისაც მთვარეზე მინა აქვს ნაყიდი. რად უნდა და რაში გამოიყენებს, კაცმა არ იცის. თავად აცხადებს, დრო არ მაქვს მამულების მოსანახულებლად, თორემ კი წავიდოდი ერთხელო. ასეა თუ ისე, როცა ჟურნალისტმა წიგნის დაწერა გადაწყვიტა, არჩევანი ისეთ თემებზე შეაჩერა, რომლებიც ერთნიშვნელოვნად მომგებიანი შეიძლებოდა ყოფილიყო. პირველი ორი წიგნის სათაურებია: „ლინკოლნის მკვლელობა“ და „კენედის მკვლელობა“. ორივე წიგნი გამოცემისთანავე მოექცა გაყიდვების რეიტინგის სათავეებში და ავტორს 28 მილიონი დოლარი შემოსავალი მოუტანა. ორელი ბოლო მონაცემებით მესამე სკანდალურ წიგნზე მუშაობს. წინა ორი ტექსტიდან და სათაურიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა ბედი ეწევა მესამეს. ორელი ამჯერად ქრისტეს ამბებით დაინტერესდა და „იესოს მკვლელობის“ საკუთარ ვერსიას გვთავაზობს.

This successful writer is 2 millions poorer than the previous journalist-novelist. 26 million dollars and more than 60 million sold copies – these are numeric representation of her success. This woman publishes three books a year and her fantasy and hard-working utterly deserve amazement and admiration. Danielle Steel – it is a name and a surname, which undoubtedly make you think that the author must be exploring genres of women’s romances, romantic adventures and even love poetry. Exactly. Danielle steel was married and divorced four times. In her books she shares her rich life experience and advices with the reader. Many like it. “If you see the magic in a fairy tale, you can face the future” – if one day you will share such philosophy, go through the books of this lady. But take into account that she will only be available in original or any other language other than Georgian. This author has not been translated into Georgian yet.



Danielle Steel - the magic of the future

დანიელა სტილი - მომავლის მაგია



Industry of frightening the fellowman

06

მოყვასის დაშინების ინდუსტრია

ეს ნაყოფიერი მწერალი წინამორბედ მწერალ-ჟურნალისტზე ორი მილიონი დოლარით ღარიბია. 26 მილიონი დოლარი და 6 მილიონ ეგზემპლარზე მეტი გაყიდვა - ასეთია ციფრებით გამოხატული წარმატება. წელიწადში ეს ქალი სამ წიგნს გამოსცემს და მისი ფანტაზია და შრომისმოყვარეობა ნამდვილად იმსახურებს გაცემასა და აღფრთოვანებას. დანიელა სტილი - ისეთი სახელი და გვარია, რომ ეჭვი არაა, ავტორი ქალური რომანების, რომანტიკული თავგადასავლებისა და თქვენ წარმოიდგინეთ, სასიყვარულო პოემების ჟანრში უნდა მოღვაწეობდეს. ასეცაა. დანიელა სტილი ოთხჯერ იყო დაქორწინებული და განქორწინებული. თავის წიგნებში მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და რჩევებს უზიარებს მკითხველს. ბევრს მოსწონს. „თუ ზღაპრის მაგიის გჭერათ, ესე იგი, თავდაჭერებით შეაბიჯებთ მომავალში,“ - თუ ოდესმე ასეთ ფილოსოფიურ გუნებაზე დადგებით, გადაფურცლეთ ამ ქალბატონის წიგნები. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ტექსტი ხელმისაწვდომი მხოლოდ ორიგინალში ან ქართულის გარდა სხვა რომელიმე ენაზე იქნება. ჩვენში ეს ავტორი ჯერაც არ უთარგმნიათ.

People like frightening each other and they do this with increasing success for not one millennium, as transforming this instinctive emotion into the fictional reality grants catharsis, i.e. cleansing from such passions (Like Aristotle stated, the logic is simple – are you afraid of dark? Have a walk through the cemetery and the fear will vanish as you will return from there unharmed. The dead do not disturb anyone). The fears is one of the most important and driving emotion and writers, screenwriters and directors know this perfect. The last author from our six chosen ones earned his share of success exactly by virtuously playing on this emotion. In 2013 his annual income was 20 millions. This year the Georgian reader was also granted an opportunity to dispose himself to the boundless fantasy of the King in native language. His books were translated, translated good and sold good. The King of the Horror, Stephen King tirelessly continues work on his hard and beneficial cause of frightening the fellowman and is preparing the sequel to his best book “The Shining”.

ადამიანებს მოსწონთ ერთმანეთის დაშინება და ამას მზარდი წარმატებით ახერხებენ არაერთი ათასი წელია უკვე, რადგან ამ ინსტინქტური ემოციის მხატვრულ რეალობაში გადმოტანით მიიღწევა კათარზისი ანუ ამგვარ ვნებათაგან განწმენდა (როგორც არისტოტელე მიიჩნევდა, ლოგიკა მარტივია - გეშინია სიბნელის? ისეირნე სასაფლაოზე და შიში გაქრება, რადგან იქიდან სალ-სალამათი და უვნებელი დაბრუნდები. მკვდრები არავის ერჩიან) შიში ერთ-ერთი უმთავრესი და წარმმართველი ემოციაა ადამიანისთვის და ეს გადასარევად იციან მწერლებმაც, სცენარისტებმაც და რეჟისორებმაც. სწორედ ამ ემოციებზე ვირტუოზული თამაშით მიაღწია ჩვენი ექვსეულის უკანასკნელმა წევრმა იმას, რასაც მიაღწია. 2013 წლისთვის მისი წლიური შემოსავალი 20 მილიონ დოლარს შეადგენს. წელს ქართველ მკითხველსაც ჰქონდა საშუალება, მშობლიურ ენაზე გასცნობოდა კინგის უკიდვანო ფანტაზიის ნაყოფებს. მისი წიგნები ითარგმნა, კარგადაც ითარგმნა და კარგადაც გაიყიდა. ჰორორის მეფე, სტივენ კინგი კი დაუღალავად განაგრძობს მოღვაწეობას მოყვასის დაშინების რთულ და მაღლიან საქმეში და თავისი საუკეთესო წიგნის The Shining-ის სიქველს ამზადებს მკითხველისთვის.

Nino Lomidze/ნინო ლომიძე





synevo

medical laboratory

Synevo

**European Medical Laboratories'
Network in Georgia.**

The lab of our choice.

„სინევის“ ევროპული სამედიცინო
ლაბორატორიების ქსელი
საქართველოში.

ლაბორატორია,

რომელსაც თქვენ ირჩევთ.

When it comes to doing any kind of medical analysis, the first thing to come to a regular person's mind is to visit a nearby laboratory. But we are skeptic creatures and there is a vast number of choices outside there, making it very confusing to make a decision. Well, while some newly based medical centers are still on their way of gaining trust, Swedish laboratories network Synevo has already gone through it and for over one and a half years for now it operates in Georgia, providing European standard services.

Synevo holds a full service Clinical laboratory located at the Aramyants Hospital area. The Lab, fully equipped with modern State-of-the-art Diagnostics technologies is represented with highly trained personnel. Synevo Georgia operates several laboratory centers in different neighborhoods of Tbilisi, for instance in Gldani, Varketili, Dighomi and Saburtalo.

In general, Synevo Laboratories are part of Swedish Medical Holding named "Medicover". The central office of "Medicover" Holding is located in Brussels, Belgium.

Synevo Laboratories network consists of more than 50 laboratories and hundreds of laboratory centers across Eastern and Central Europe. The original name of this network, - Synevo - is a combination of two definitions – the effect of synergy and the process of evolution.

Synevo offers its laboratory services in Germany, Poland, Ukraine, Belarus, Romania, Turkey, Bulgaria, Moldova, Serbia and from April 2012 also in Tbilisi, Georgia.

In Georgia, at any of these local lab centers patients have a direct access to thousands different kinds of medical analysis, starting from the very routine Complete Blood count, Cholesterol, glucose levels, blood coagulation, bacteriology, Oncologic-markers, hormones, virology and up to advanced genetic disorders and molecular analysis.

Synevo Laboratories also run a home visit service, meaning that anyone can conduct medical analysis even without getting up from a chair.

Lab Director of Synevo in Georgia, Ariel Gatushkin states that all the processes in the laboratories' chain are computerized and automated. "All across the Europe, - as well as in Georgia, - Synevo uses the latest medical analyzers and reagents from Roche Diagnostics (Germany) – the leading company in the Laboratory and Pharmaceuticals field. Besides that, Synevo laboratory has an internal and an external quality control systems (Germany). All of the mentioned above gives us the possibility to provide accurate and timely results" - states Mr. Gatushkin.

It is worth mentioning that one of the advantages of Synevo is a central integrated laboratory information system. This software unites the main laboratory with all other laboratory centers located in Tbilisi and provides a very convenient service for patients. Results made in one particular lab are automatically available in the rest of the lab centers. The patients or the doctor can pick up test results in any branch, no matter where the analysis were conducted.

On top of this, Synevo offers even more convenient result-delivery services: when the test-results are ready, patients can get the results via mail if they ask for it in advance. Nowadays Synevo is also working on notification-via-SMS service. The SMS sent to patients will say the results are ready and sent on the e-mail.

Ariel says, that nothing in the laboratory happens manually: "We have an integrated laboratory system that connects all the laboratory centers into one network, barcode labeling of all biological samples, online connection of medical analyzers to the main laboratory

როდესაც რაიმე სახის სამედიცინო ანალიზის გაკეთებაზე მიდგება საქმე, პირველი რაც ჩვეულებრივ ადამიანს მოსდის თავში, უახლოესი ლაბორატორიის სტუმრობა. მაგრამ ჩვენ სკეპტიკური არსებები ვართ და იქ, გარესამყაროში კი არჩევანის უზარმაზარი რაოდენობაა, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს ართულებს. მაშინ როდესაც სხვა ახლად დაარსებული სამედიცინო ცენტრები ჯერ კიდევ ცდილობენ ნდობის მოპოვებას, შვედური ლაბორატორიების ქსელმა, „სინევომ“, უკვე გაიარა ეს ეტაპი და აი უკვე თითქმის ორი წელია ფუნქციონირებს საქართველოში და კლიენტებს ევროპული სტანდარტების მომსახურებას აწვდის.

თბილისში „სინევო“-ს გააჩნია სრული სერვისის კლინიკური ლაბორატორია, არამიანცის საავადმყოფოს ტერიტორიაზე. ლაბორატორია, რომელიც მთლიანად აღჭურვილია თანამედროვე უახლესი მიღწევების სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიებით, წარმოდგენილია საუკეთესოდ მომზადებული პერსონალით. „სინევო საქართველო“ ფლობს რამდენიმე ლაბორატორიულ ცენტრს თბილისის სხვადასხვა უბნებში, მაგალითად გლდანში, ვარკეთილში, ისანში, დიღომსა და საბურთალოზე.

„სინევოს“ ლაბორატორიები შვედური სამედიცინო ჰოლდინგის, „მედიქავერის“, ნაწილია. ჰოლდინგ „მედიქავერის“ სათაო ოფისი მდებარეობს ბელგიაში, ბრიუსელში.

„სინევოს“ ლაბორატორიული ქსელი შედგება ორმოცდაათზე მეტი ლაბორატორიისა და ასობით ლაბორატორიული ცენტრებისაგან, რომლებიც გადანტულია აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. ქსელის ინგლისურენოვანი სახელი - „Synevo“, არის ორი დეფინიციის კომბინაცია: სინერგიის ეფექტი (the effect of synergy) და ევოლუციის პროცესი (the process of evolution).

„სინევო“ საკუთარ ლაბორატორიულ სერვისს მომხმარებლებს სთავაზობს გერმანიაში, პოლონეთში, უკრაინაში, ბულგარეთში, რუმინეთში, თურქეთში, ბულგარეთში, მოლდოვაში, სერბეთსა და 2012 წლის აპრილიდან, უკვე საქართველოში, თბილისშიც.

საქართველოში არსებულ ყველა ლაბორატორიულ ცენტრში მომხმარებელს აქვს საშუალება ჩაითაროს ათასობით სხვადასხვა ტიპის ანალიზი, დაწყებული ისეთი რუტინული კვლევებით, როგორებიცაა სისხლის საერთო ანალიზი, ქოლესტერინის განსაზღვრა, გლუკოზის განსაზღვრა, კოაგულოგრამა, ბაქტერიოლოგიური კვლევა, კვლევა ონკოლოგიურ მარკერებზე, ჰორმონალური კვლევა, ვირუსებზე კვლევა და დასრულებული ისეთი თანამედროვე კვლევებით, როგორიცაა გენეტიკური დარღვევების კვლევა და მოლეკულური ანალიზი.

„სინევო საქართველო“-ს ლაბორატორიას ასევე გააჩნია ბინაზე მისვლის სერვისი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მსურველს, სკამიდან აუდგომლად შეუძლია ჩაიაროს სასურველი სამედიცინო ანალიზი.

საქართველოში არსებული „სინევო“-ს ლაბორატორიის დირექტორი, არიელ გატუშკინი ამბობს, რომ ლაბორატორიების ქსელში ყველა პროცესი კომპიუტერიზებული და ავტომატიზებულია. „მთელს ევროპაში, ისევე როგორც საქართველოში, „სინევო“ იყენებს „რომე დიაგნოსტიკის“ (გერმანია) - რომელიც წამყვანი ლაბორატორიული და ფარმაცევტული კომპანიაა - უახლეს სამედიცინო ანალიზატორებსა და რეაგენტებს. ამასთანავე, „სინევოს“ გააჩნია შიდა და გარე ხარისხის კონტროლის სისტემები (გერმანია). ყველა ზემოთ მოხსენიებული ფაქტორი გვაძლევს ჩვენ საშუალებას რომ მომხმარებელს მივაწოდოთ მუსტი და დროული შედეგები“ - აცხადებს ბატონი გატუშკინი.

აღსანიშნავია, რომ „სინევო საქართველო“-ს ერთ-ერთი უპირატესობაა ცენტრალური ინტეგრირებული ლაბორატორიული საინფორმაციო სისტემა. ეს კომპიუტერული პროგრამა აერთებს ძირითად ლაბორატორიას, თბილისში განთავსებულ ყველა დანარჩენ ლაბორატორიულ ცენტრს და პაციენტებისათვის მოსახერხებელი სერვისის შეთავაზების საშუალებას იძლევა. ერთ კონკრეტულ ლაბორატორიაში მიღებული შედეგები ავტომატურად ხდება



information system and emailing of test results to their destination". In other words, when patients arrive to the lab center, their demographical info are printed from the lab system on their analysis tube as a unique bar code. When the results are ready, they are transmitted automatically to the computer, then printed and given to patients or to doctors. "As you can understand, if one is performing the analysis or entering the results to the computer manually, the risk of a confusion is very high. The patient can get not only not accurate results, but somebody other's. All of this because the lab doctor made a mistake while working manually" – says Ariel.

On the bright side, he also believes that if the lab process is fully automated like at Synevo laboratories network, the human factor is minimized to zero and it gives the possibility to produce accurate and precise clinical data.

In the end, there are several reasons for heading to Synevo laboratories for analysis: Its high quality available due to advanced automated laboratory technologies and highly qualified staff; the wide range of analysis; the large network of laboratories all over Tbilisi neighborhoods and affordable prices for testing. As for those who live outside Tbilisi, in 2014 Synevo plans to broaden its network by opening several branches across Georgia, primarily in Kutaisi and Batumi.

David Parulava/დავით ფარულავა

ხელმისაწვდომი ყველა დანარჩენი ლაბორატორიულ ცენტრში. პაციენტებსა და ექიმებს შეუძლიათ ნებისმიერ ფილიალში მიაკითხონ შედეგებს, იმის მიუხედავად თუ სად ჩატარდა ანალიზები.

მეტყ, „სინევილი საქართველო“ თავის მომხმარებელს კიდევ უფრო მოსახერხებელ შედეგების გადაცემის სერვისს სთავაზობს: როდესაც ანალიზის შედეგები მზად იქნება, პაციენტს შეეძლება მათი მიღება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, თუ ამას წინასწარ მოითხოვენ. დღესდღეობით „სინევილი“ ასევე მუშაობს მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისზე. პაციენტებისათვის გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება გააგებინებს ამ უკანასკნელს, რომ შედეგები მზადაა და გადაგზავნილია ელექტრონულ ფოსტაზე.

ბატონი არიელის თქმით ლაბორატორიაში არანაირი მოქმედება არ ხორციელდება მანუალურად: „ჩვენ გვაქვს ინტეგრირებული ლაბორატორიული სისტემა, რომელიც აერთიანებს ყველა ლაბორატორიულ ცენტრს ერთ ქსელში, ასევე გვაქვს დანერგილი ბიოლოგიური ნიმუშების შტრიხკოდებით მარკირება, პირდაპირი ონლაინ კავშირი სამედიცინო ანალიზატორებსა და ლაბორატორიის მთავარ საინფორმაციო სისტემას შორის და პაციენტთან ანალიზების შედეგების გადაგზავნა ელექტრონული ფოსტით“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც პაციენტი აკითხავს ლაბორატორიულ ცენტრს, ანალიზის ჩაბარების დროს სისტემაში შეყვანილი მათი დემოგრაფიული მონაცემები ამოიბეჭდება ლაბორატორიის სისტემიდან მათივე ანალიზის პრობირკაზე უნიკალური შტრიხკოდის დამატებით ის ორმაგი დაცვაა. როდესაც შედეგები მზად არის, ხდება მათი ავტომატური გადაგზავნა კომპიუტერში, რის შემდეგაც შედეგებს ბეჭდავენ და აძლევენ პაციენტს ან ექიმს. „როგორც ხვდებით, როდესაც ანალიზების ჩატარება ან შედეგების შეყვანა კომპიუტერში მანუალურად ხდება, შეცდომის რისკი ძალზედ მაღალია. პაციენტმა შეიძლება მიიღოს არა მხოლოდ მცდარი, არამედ საერთოდ სხვისი შედეგი. ეს ყველაფერი კი იმის ბრალი იქნება რომ ექიმ-ლაბორანტმა მანუალურად მუშაობისას დაუშვა შეცდომა“ – ამბობს ბატონი არიელი.

მას სჯერა, თუ ლაბორატორიული პროცესი მთლიანად ავტომატიზებული იქნება, როგორც ეს „სინევილი“ ლაბორატორიების ქსელშია, მაშინ ადამიანური ფაქტორი ნულამდე იქნება დაყვანილი, რაც თავის მხრივ ზუსტი კლინიკური მონაცემების მიღების საშუალებას იძლევა.

და საბოლოოდ იმ მიზეზების შეჯამება, რომელთა გამოც ანალიზებისათვის „სინევილი“ ლაბორატორიას უნდა მიმართოთ: მისი მაღალი ხარისხი, რომელიც მიიღწევა მონიწივე ავტომატიზებული ლაბორატორიული ტექნოლოგიებისა და მაღალი პროფესიონალური დონის პერსონალის მეშვეობით; ანალიზების ფართო სპექტრი; ლაბორატორიების ფართო ქსელი რომელიც გაშლილია მთელს თბილისში და ხელმისაწვდომი ფასებით. რაც შეეხებათ მათ, ვინც თბილისს გარეთ ცხოვრობენ, 2014 წელს „სინევილი“ საკუთარი ქსელის გაფართოებას გეგმავს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, და პირველ რიგში ქუთაისსა და ბათუმში, თავისი ფილიალების გახსნით.



• MAGAZINE FOR SMART, STRONG AND TASTEFUL MEN •

WINTER ISSUE



How the
Valentine's Day
is celebrated around
the world

როგორ
აღნიშნავს ვალენტიობას
მსოფლიო

It's a decade or a little more since we started to celebrate the Valentine's Day, i.e. international Day of lovers. As for Europe, they've been dedicating one day a year to love and lovers since the medieval. The Valentine's Day is also quite traditional in the United States. Years and centuries established specific traditions for celebrating this Day. Some of them are quite unusual and interesting:

დაახლოებით ერთი ათწლეული ან ცოტა უფრო მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენში ვალენტინობას ანუ შეყვარებულების საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. აი, ევროპაში კი სულაც, შუასაუკუნეებიდან მოყოლებული უთმობენ ნელინადში ერთ დღეს სიყვარულსა და შეყვარებულებს. საკმაოდ ტრადიციული დღესასწაულია ვალენტინობა ამერიკაშიც. წლებმა და საუკუნეებმა მისი აღნიშვნის საკუთარი ტრადიციებიც დაამკვიდრეს. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ უჩვეულო და საინტერესოა:



American young fellow used to present their ladies with marzipan figures. These are dark times of American history, when the sugar was in deficit and as the main ingredient of the marzipan is sugar, it was a very precious and desirable gift. Since the 1800 this tradition started to fade away as sugar production got easier and it became more affordable. Americans were first to produce sweets especially for this day, in shape of a heart and with different writings. The chocolate candy was placed in the heart-shaped cardboard box which was decorated in red and white; red as a sign of passion and love and white as a symbol of clean, virgin feeling. It is quite interesting that the Valentine's Day is a fateful day for an American woman. On this day she can directly approach her beloved man and offer her hand and heart and in case of denial she can even demand some kind of reimbursement: a silk dress or a jewelry.

ამერიკელი ბიჭები შეყვარებულებს მარციპანის ფიგურებს ჩუქნიდნენ. ეს ის ბედკრული პერიოდია ამერიკის ისტორიაში, როდესაც შაქარი დეფიციტური პროდუქტი იყო, მარციპანის შემადგენლობაში კი სწორედ შაქარია წამყვანი ინგრედიენტი. საჩუქარი საკმაოდ ძვირფასი და სასურველი გახლდათ. 1800 წლიდან ეს ტრადიცია ნელ-ნელა მივიწყებას მიეცა, რადგან შაქრის მოპოვება შედარებით გაიოლდა და გაიაფდა კიდევ. ამერიკელებმა პირველებმა დაიწყეს სპეციალურად ამ დღისთვის ტკბილეულის გამოშვება, რომელსაც გულის ფორმა და წარწერები ამშვენებდა. შოკოლადის კანფეტებს გულისავე ფორმის მუყაოში ათავსებდნენ, წითელი და თეთრი ფერებით რთავდნენ; წითელი - ვნების, სიყვარულის, მგზნებარების ნიშნად და თეთრი სუფთა, უმნიშვნელო გრძნობის აღსანიშნად. საინტერესოა, რომ ვალენტინობა ბევრი ამერიკელი ქალისთვის საბედისწერო დღეა. ამ დღეს მათ თამამად და ყოველგვარი დარცხვენის გარეშე შეუძლიათ შესთავაზონ სასურველ საყვარელ მამაკაცს ხელი და გული, უარის მიღების შემთხვევაში კი ერთგვარი გამოსასყიდევ კი მოითხოვონ: აბრეშუმის კაბა ან რაიმე ძვირფასეულობა.

England



ინგლისი

Lots of traditions, customs and prejudices are associated with the Valentine's Day in this traditional country. On 14th February, single girls are throwing scraps of crumpled papers, with names of acquainted man on them, into the river or a lake. The paper which will come up on the surface first, will introduce the name of the future partner to the girl. In the Derbyshire county girls go to the nearby church after the clock hits the midnight and circle the cathedral 3 or 12 times. Besides, they say special spell. It is believed that after this ritual the future lifetime partner of the girl will come to her himself.

There is a prejudice which implies that before the Valentine's day, early in the morning, a girl must look out of the window and observe before the male shows up. The first man she sees is her destiny. In the medieval England there also was such tradition: on the February 14 young girls and fellows used to gather, write their names on any accessible mean and throw them into the hat. Then they used to take pieces one by one. The girl who would take the boy's name used to become his Valentina for the rest of the year. For this year Valentine used to pamper his Valentina with presents, dedicated poems to her, sang songs, served her as a partner and a guard on a long-distance journey. In the Welsh county presenting "love spoons" was very popular. Those spoons were decorated with hearts, keys and locks. They symbolized that the gift recipient was the only keeper of the key to the heart of gift giver.

ამ ტრადიციულ ქვეყანაში უამრავი ჩვეულება, ტრადიცია და ცრურწმენა უკავშირდება ვალენტინობას. გაუთხოვარი გოგონები 14 თებერვალს მდინარეში ან ტბაში დაჭმუჭნილი ფურცლის ნაგლეჯებს ყრიან, რომლებზეც ნაცნობი მამაკაცების სახელებია დაწერილი. ფურცელი, რომელიც ყველაზე ადრე ამოვა წლის ზედაპირზე, გოგონას მომავალი სახედოს სახელს ამცნობს. დერბშირის საგრაფოში გოგონები შუალამის დადგომისთანავე მახლობელ ეკლესიაში გადიან და 3-ჯერ ან 12-ჯერ შემოუვლიან ტაძარს. თან სპეციალურ შელოცვას ამბობენ. ითვლება, რომ ამ რიტუალის შემდეგ გოგონასთან მისი ცხოვრების თანამგზავრი საკუთარი ფეხით მოვა. არსებობს ცრურწმენა, რომლის თანახმადაც წმინდა ვალენტინის დღის დადგომამდე, უთენია, გოგონამ უნდა გაიხედოს ფანჯარაში და იყუროს, სანამ საპირისპირო სქესის ადამიანი არ ჩამოივლის. პირველი მამაკაცი, რომელსაც დაინახავს, მისი ბედია. შუა საუკუნეებში ინგლისში ასეთი ტრადიციაც არსებობდა - 14 თებერვალს იკრიბებოდნენ ახალგაზრდები, წერდნენ საკუთარ სახელებს ნებისმიერ ხელმისაწვდომ საშუალებაზე და ყრიდნენ ქუდში. შემდეგ სათითაოდ იღებდნენ. გოგონა, რომელსაც ბიჭის სახელი ამოუვიდოდა, მისი ვალენტინა ხდებოდა მთელი წლის განავლობაში. ამ წლის მანძილზე ვალენტინი თავის ვალენტინას საჩუქრებით ანებივრებდა, ლექსებს უწერდა, სიმღერებს უმღეროდა, შორ გზაზე მისი თანამგზავრის და მცველის ფუნქციებსაც ითავსებდა. უელსის საგრაფოში ძალიან პოპულარული იყო „სასიყვარულო კოვზების“ ჩუქება. კოვზებს გულებით, გასაღებებით და ბოქლომებით აფორმებდნენ. ეს ნიშნავდა, რომ საჩუქრის მიმღები საჩუქრის გამცემის გულის გასაღების მფლობელი და ერთადერთი მეპატრონე იყო.



Italy

იტალია

Temperamental Italians call the day of love a "sweet day". The reason is that the traditional gift in Italy are sweets. Heart-shaped chocolates, lollipops, cakes, rusks, candies and marmalades were sold like hot cakes on the February 14.

ტემპერამენტიანი იტალიელები სიყვარულის დღეს ტკბილ დღეს უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ ტრადიციული და მიღებული საჩუქარი იტალიაში ტკბილეულია. გულის ფორმის შოკოლადები, შაქარყინულები, ნამცხვრეული, ორცხობილები, კანფეტები და მარმალადები 14 თებერვალს ელვის სისწრაფით საღდება.

Denmark



დანია

Restrained Danes only give each other white, dried flowers or handmade, uniquely decorated bouquet. The dominant color in the bouquet must be white. White is considered as a symbol of impeccable, pure, virgin and immortal feelings.

თავშეკავებული დანიელები ვალენტინობას თეთრი, გამომშრალი ყვავილების ან ხელნაკეთი, ორიგინალურად გაფორმებული თაიგულის ჩუქებით შემოიფარგლებიან. თაიგულში მეთი წილი თეთრი ფერის ყვავილი უნდა იყოს. ითვლება, რომ თეთრი ყვავილი უმნიშვნელო, სუფთა, შეუბღალავი და უკვდავი გრძნობის სიმბოლოა.



France

საფრანგეთი

Thanks to French, who possess great knowledge of romantic, passionate relations, love letters have become integral part of this day. French lovers gift each other fine jewelry, cologne, accessories and love cards. Gentlemen arrange romantic date for their ladies in accordance with all rules

რომანტიკული, ვნებიანი და სასიყვარულო ურთიერთობების გადასარეგად მცოდნე ფრანგების წყალობით სასიყვარულო ბარათები ამ დღის განუყოფელ ნაწილად იქცა. ფრანგი შეყვარებულები ერთმანეთს ძვირფას სამკაულს, სუნამოებს, აქსესუარებს და ბარათებს ჩუქნიან. მამაკაცები ქალბატონებს

(candles, music, entourage, bouquet)... It is true that all days in France are days of love, but the Valentine's Day is still special and distinguishable from others.

რომანტიკულ შეხვედრებს უწყობენ ყველა წესისა და რიგის დაცვით (სანთლები, მუსიკა, ანტურაჟი, თაიგული...) მართალია, საფრანგეთში ყველა დღე სიყვარულისაა, მაგრამ ამ დღეებს შორის გამორჩეული ნამდვილად ვალენტინობაა.

Japan

იაპონია



Japanese started to celebrate the Valentine's day since the 30-ies of the previous century. This day resembles our March 8 very much, only everything happens vice-versa. Objects of attention, gifts and congratulations are only men. Women try their best to arrange as interesting gift or surprise for their beloved man as possible. The most acceptable gifts are chocolate figures. It is considered that only on that exact day a woman can reveal her feelings for a man, without harming her reputation. It is noteworthy that exactly a month later, on March 14, Japanese "return the debt". This time roles are switched. Men congratulate their ladies on day of love, make precious gifts and try to make their congratulations the most unique, unexpected and grandiose.

იაპონიაში ვალენტინობის აღნიშვნა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. ეს დღე იაპონიაში ძალიან წააგავს ჩვენებურ 8 მარტს, ოღონდ აქ ყველაფერი პირიქით ხდება. საჩუქრების, ყურადღების და მილოცვების ობიექტები მხოლოდ მამაკაცები არიან. ქალები ცდილობენ, რაც შეიძლება საინტერესო საჩუქარი და სიურპრიზი მოამზადონ საყვარელი მამაკაცებისათვის. ყველაზე მისაღები საჩუქარი შოკოლადის ფიგურებია. ითვლება, რომ მხოლოდ ამ დღეს შეუძლია ქალს, გამოუტყდეს მამაკაცს სიყვარულში ისე, რომ არ ავნოს საკუთარ რეპუტაციას. საინტერესოა, რომ იაპონელები 14 თებერვლის ზუსტად ერთი თვის თავზე, 14 მარტს „ვალს აბრუნებენ“. ამჯერად როლები იცვლება. მამაკაცები ულოცავენ ქალებს სიყვარულის დღეს, უკეთებენ ძვირფას საჩუქრებს და ცდილობენ, ყველაზე განსხვავებულად, ორიგინალურად, მოულოდნელად და გრანდიოზულად მიულოცონ მათ გაზაფხულის დადგომა და სიყვარულის დღე.



Germany

გერმანია

Germans celebrate this day in the most extraordinary and unusual manner. Pragmatic, rational and restrained Germans believe that love is the form of psychological disorder, some sort of insanity. That is why instead of giving each other colorful cards and sweets, German lovers visit mental hospitals and decorate them with colored ribbons, hearts and garlands. In cathedrals special liturgy is offered for lovers on February 14. If one day you will desire to celebrate the Valentine's day in unusual and unique environment, I think Germany will be the most suitable place.

ყველაზე უჩვეულოდ და უცნაურად ამ დღეს გერმანელები აღნიშნავენ. პრაგმატული, რაციონალური და თავშეკავებულ გერმანელებს მტკიცედ სწამთ, რომ სიყვარული გონებრივი აშლილობის ერთ-ერთი ფორმა და გამოვლინებაა, ერთგვარი სიგიჟე. სწორედ ამიტომ შეყვარებული გერმანელები ერთმანეთისთვის ფერადი ბარათებისა და ტკბილეულის ჩუქების ნაცვლად ფსიქიატრიულ საავადმყოფოებსა და კლინიკებს სტუმრობენ და ფერადი ლენტებით, გულებით და გირლანდებით რთავენ. ეკლესიებში 14 თებერვალს სპეციალური მსახურება აღევლინება შეყვარებულების მოსახსენებლად. თუ ოდესმე განსხვავებულ და ორიგინალურ ვითარებაში მოისურვებთ ვალენტინობის აღნიშვნას, ვფიქრობ, გერმანია საამისოდ საუკეთესო ასპარაზია.

Iceland

ისლანდია



This cold and restrained land is inhabited by real passionate and hot lovers. In order to prove their love, Icelanders light huge bonfires on February 14 and jump over them crying out loud names of their beloved ones. After this couples exchange handmade jewelry.

ამ ცივ და უკარება მიწაზე ჭეშმარიტად მგზნებარე, ვნებიანი შეყვარებულები ცხოვრობენ. ერთმანეთისთვის სიყვარულის დამტკიცების მიზნით ისლანდიელები 14 თებერვალს უზარმაზარ კოცონებს აგიგვიგებენ და საყვარელი ადამიანის სახელის ყვირილით ახტებიან ცეცხლს. ამის შემდეგ ბიჭები და გოგონები ერთმანეთს ხელნაკეთ სამკაულებს უცვლიან.



Saudi Arabia

საუდის არაბეთი

Although the Valentine's Day is celebrated almost all over the world, there are places where celebrating this day is declared illegal and such places are Muslim states. For example in Saudi Arabia, celebration of the Valentine's Day is punished with huge fine. A lover who will decide to make a surprise for his beloved one, must have "extra money" for the fine.

მიუხედავად იმისა რომ ვალენტინობის დღესასწაული თითქმის მთელ მსოფლიოში ვრცელდება, არსებობს ადგილები, სადაც ამ დღესასწაულის აღნიშვნა კანონით არის კარძალული და ეს მუსულმანური ქვეყნებია. საუდის არაბეთში, მაგალითად, ვალენტინობის აღნიშვნა საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმით ისჯება. შეყვარებული, რომელიც საყვარელი ადამიანისთვის სიურპრიზის მოწყობას გადანყვეტს, „ზედნამატი“ ჯარიმისთვისაც უნდა იყოს მზად.

Slavic Saying

სლავური თქმულება



The story of the sacred monk, Valentine is known by everyone. Even a kid nowadays knows, that sometime in the past there was a monk, named Valentine, who was aiding lovers and wedding them in secret; he managed to wed many couples and finally got in jail, where waiting for the execution he met a young girl, Julia. She was a daughter of a prison guard. The monk, fallen deeply in love, wrote a love letter to the girl, which in the future became a symbol of the Valentine's Day. On February 14, 269 St. Valentine was executed. The saying preserved in Slavic folklore is no less touching. July 8 is a day commemorating Peter and Fevronia. According to the saying Peter and Fevronia loved each other throughout the life and like it happens in fairy tales, they passed away on the same day. Love story of the rich prince and a peasant girl is quite dramatic: the venom of the snake mutilated the whole face of the prince. The best doctors were not able to aid the boy. Finally a peasant girl came and gave him the herbal medicine. The medicine gave prince a relief and filled with the gratitude, he looked at the girl from completely different prism and consequently serious feelings were born between them. Although this story is no less touching than the story of the St. Valentine, Slavic states still celebrate the day of love like the rest of the world, on February 14. Lovers give each other sweets, cards and fluffy toys, also ask each other on romantic dates and surprise each other.

წმინდა ბერის, ვალენტინის ისტორია საყოველთაოდ ცნობილია. დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ ოდესღაც, შორეულ წარსულში, ცხოვრობდა ბერი, სახელად ვალენტინი, რომელიც შეყვარებულ წყვილებს ეხმარებოდა და ჩუმად სწერდა ჭვარს; მან უამრავი წყვილის დაქორწინება მოასწრო, ბოლოს კი ციხეში აღმოჩნდა, სადაც სიკვდილით დასჯის მოლოდინში ახალგაზრდა გოგონა, ჯულია გაიწყო. ის ზედამხედველის ქალიშვილი იყო. შეყვარებულმა მღვდელმა გოგონას სიკვდილის წინ სასიყვარულო ბარათი დაუწერა, რომელიც შემდგომში ვალენტინობის სიმბოლოდ იქცა. 269 წლის 14 თებერვალს წმინდა ვალენტინი სიკვდილით დასაჯეს. არანაკლებ ლამაზი ისტორიაა შემორჩენილი სლავურ ზეპირსიტყვიერებაში. 8 ივლისი პეტრეს და ფებრონიას ხსენების დღედ ითვლება. თქმულების თანახმად, პეტრესა და ფებრონიას ერთმანეთი მთელი სიცოცხლის განმავლობაში უყვარდათ და როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე, ერთ დღეს აღესრულნენ კიდევ. მდიდარი თავადის შვილის და უბრალო გლეხის გოგონას სიყვარულის ამბავი საკმაოდ დრამატულია: გესლიანი გველის მიერ დაკბენილ თავადიშვილს შხამმა სახე მთლიანად დაუსახიჩრა. საუკეთესო ექიმბაშებმა ვერაფერი უშველეს ბიჭს. ბოლოს მასთან უბრალო გლეხის გოგონა მივიდა და მცენარეებით გაკეთებული წამალი მისცა. წამალმა შვება მოჰკვარა ბიჭს, მაღლიერებით განმსჭვალულმა სულ სხვა თვალთ შეხედა გოგონას და მათ შორის დიდი გრძნობაც გაჩნდა. მართალია, ეს ამბავი ბერი ვალენტინის ისტორიას არაფრით ჩამოუვარდება, მაგრამ სლავურ ქვეყნებშიც დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად დღეს 14 თებერვალი აღინიშნება სიყვარულის დღედ. შეყვარებულები ერთმანეთს ტკბილეულს, ბარათებს და რბილ სათამაშოებს ჩუქნიან, ეპატივებიან რომანტიკულ შეხვედრებზე და უწყობენ სიურპრიზებს.

Nino Lomidze/წინო ლომიძე

swatch[®]  **სვინი[®]**



სვინი
სვინი
სვინი






Spotlight 2013

Turned on and started working!
In other words, The first Georgian marketing event was successful

ჩართო და ამუშავდა!


ანუ პირველი ქართული
მარკეტინგული
ღონისძიება შედგა

On December 20 of already passed year, historical event in Georgian marketing field took place at the Hotel "Sheraton Metekhi Palace". The first time in our country, purely Georgian marketing event was held, named Spotlight, which was organized by the internet journal "Marketer" (Marketer.ge)

Considering that announcement of this event in November caused great controversy and unprecedented public interest we decided to assess this event now, when emotions are cooled down and we can be more or less objective.

ან უკვე გასული წლის 20 დეკემბერს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ქართული მარკეტინგის სფეროში ისტორიულ მოვლენას შეინდა ადგილი. პირველად ჩვენი ქვეყნის რეალობაში ჩატარდა წმინდა ქართული მარკეტინგული ღონისძიება, სახელწოდებით - Spotlight, რომლის ორგანიზებაც ინტერნეტჟურნალმა „მარკეტერმა“ (Marketer.ge) ითავა.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ღონისძიების დაანონსებას ჯერ კიდევ ნოემბერში დიდი მითქმა-მოთქმა და უპრეცედენტო დაინტერესება მოჰყვა საზოგადოების მხრიდან, გადაწყვიტეთ, შეგვეფასებინა ეს მოვლენა ახლა, როცა ემოციები დაცხრა და როცა მეტ-ნაკლებად ობიექტურები შეგვიძლია ვიყოთ.





» **What? Where? When?**

The scale of the event turned out unprecedented in the history of Georgian marketing: 240 guests and more than 4000 registered applicants was a pleasant surprise even for organizers. Event commenced at 17:00. Initially, strange timing (moreover during the business day) confused many, but consequently it turned out to be right calculation: spending Friday evening outside the office walls granted extra impulse to the guests. As for the place, highlighting guaranteed high-class service and technical support of Sheraton is needless.

» **Who?**

The list of Spotlight 2013 speakers was announced pretty earlier. These were: Nino Egadze (Marketing Manager of the Red Bull Caucasus), Tornike Guruli (Bank of Georgia, Chief of Product Innovation Department), Marika Darchia (Creative Director of the Media Palitra), Lasha Gogua (Bank Constanta, Chief of Marketing Department) Oto Feradze (Founder of OTO/DEV), Vato Kavtaradze (Advertisement Company Windorf's), Giga Khatiashvili (Founder of the 919 LTD), Giorgi Popiashvili (Creative Director of JWT METRO), Nino Jibladze (Marketing Vice President of the Gulf), Levan Bakhia (Sarke Studio), Maka Khufaradze (Marketing director of the BOC Global Events Group), Teona Baghdavadze (PR Manager of the Beeline), Levan Efsveridze (Creative Director of the Leavingstone) and Soso Galumashvili (Chief Consultant at GePRA). Why exactly above listed 14 person and not others? This issue was subjected to the active public discussion for a long time. As organizers of the event explained, journal "Marketer" conducted a survey, which showed that aforementioned professionals are most interesting for the society. This was the criteria according to which 14 speakers were chosen, speakers who will be remembered by the Georgian marketing history as worthy participants of the first Spotlight.

» **რა? სად? როდის?**

ღონისძიების მასშტაბები უპრეცედენტო აღმოჩნდა ქართული მარკეტინგის ისტორიაში: 240 დამსწრე და 4000-ზე მეტი დარეგისტრირებული მსურველი სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა თავად ორგანიზატორებისთვისაც კი. ღონისძიება 17:00 საათზე დაიწყო. თავდაპირველად, ცოტა უცნაურად შერჩეული დრო (თანაც სამუშაო დღეს) ზოგისთვის გაუგებარი დარჩა, მაგრამ საბოლოო ჯამში გათვლა სწორი აღმოჩნდა: პარასკევ საღამოს არა სამსახურის კედლებში გატარების პერსპექტივამ დამატებითი იმპულსი მისცა დამსწრეებს. რაც შეეხება ადგილს, ზედმეტია იმის საზგასამა, რომ „შერატონის“ უმაღლესი დონის სერვისი და ტექნიკური მხარდაჭერა გარანტირებული იყო.

» **ვინ და ვინ?**

